საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 9 აგვისტოს რიგგარეშე სესია

სხდომას თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე დ.ბაქრაძე

<u>**თავმჯდომარე.**</u> გთხოვთ, ჩართოთ რეგისტრაციის რეჟიმი. ყურადღება, მიმდინარეობს რეგისტრაცია. რეგისტრაცია გაიარა 84 – მა დეპუტატმა. გმადლობთ, ქვორუმი არის, კოლეგებო. საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიას გახსნილად ვაცხადებ. (საქართველოს ჰიმნი).

გმადლობთ. მე ვთხოვ ბატონ მიხეილს დროებით დაიკავოს სხდომის წამყვანის ადგილი, კოლეგებო, პროცედურის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარეობას აგრძელებს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი

<u>**თავმჯდომარე**</u>. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი დავით ბაქრაძე მოგახსენებთ.

<u>**დ.ბაქრაძე**</u>. პატივცემულო კოლეგებო, საქართველოს პარლამენტის წევრებო, ძვირფასო საზოგადოებავ, სანამ გადავალთ დღევანდელი დღის წესრიგით, უშუალოდ, განკუთვნილი საკითხის განხილვაზე, რაც გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება - ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ არსებული მდგომარეობის შესახებ და მოკლედ გაგაცნოთ ის ვითარება, რომელიც ამ წუთისთვის არის შექმნილი ქვეყანაში.

ბუნებრივია, ყველა ჩვენგანის უმთავრესი ყურადღება მიპყრობილია ცხინვალისკენ, ცხინვალის რეგიონისკენ. როგორც პრეზიდენტმაც ბრძანა სულ რამდენიმე, სულ ცოტა ხნის წინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ცხინვალის რეგიონში მიმდინარეობს ბრძოლები ჩვენს შეიარაღებულ ფორმირებებს, ქართულ არმიას უწევს ბრძოლები, როგორც დაქირავებულ, ეგრეთწოდებულ, მოხალისეებთან, ასევე რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს რეგულარულ ნაწილებთან.

მე მინდა გითხრათ, რომ ამ წუთისთვის მდგომარეობა, პოზიციების თვალსაზრისით, სტაბილურია. ქართული მხარე აკონტროლებს ყველა იმ პოზიციას, სამთავრობო შენაერთები აკონტროლებენ ყველა იმ პოზიციას, რომელსაც ისინი აკონტროლებდნენ. ეს გულისხმობს ქალაქ ცხინვალს, ეს გულისხმობს სტრატეგიულ სიმაღლეებს ცხინვალის გარშემო, და ეს გულისხმობს რეგიონის, პრაქტიკულად, მთელ ტერიტორიას ჯავის

რაიონის და როკის გვირაბის გარდა, ანუ ამ კუთხით მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა ვიმეორებ, მიმდინარეობს შეტაკებები. მთელი ღამის განმავლობაში ქართული პოზიციები ძალიან ინტენსიურად იბომბებოდა. იბომბებოდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს არტილერიის და ავიაციის მხრიდან, თუმცა მადლობა ღმერთს, რომ შექმნილ სიტუაციაში მსხვერპლის რაოდენობა არის მინიმალური, თუმცა, ბუნებრივია, მსხვერპლი არის ტრაგიკული. ბუნებრივია, მე პირადად, როგორც ადამიანი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, გამოვხატავ ჩემს უღრმეს სამძიმარს ყველა იმ ოჯახის მიმართ, ყველა დაღუპულის, გარდაცვლილის ოჯახის მიმართ, მაგრამ მსხვერპლის რაოდენობა არის განუზომლად ნაკლები იმასთან შედარებით, რასაც, ალბათ, თითოეული თქვენგანი ისმენს რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ისევე, როგორც ვითარება არის რადიკალურად განსხვავებული იმისგან, რასაც ავრცელებენ რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ჩვენ გუშინ შუადღისას მოვისმინეთ და წავიკითხეთ საზეიმო ინფორმაციები, რომ თითქოს ცხინვალი მთლიანად დაკავებულია, რომ თითქოს ცხინვალს მთლიანად აკონტროლებენ რუსული 58–ე არმიის შენაერთები და ოსური, ე. წ. ბატალიონის წევრები, თუმცა იმის მერე თუ ცხინვალი ამ მომენტისთვის, გუშინ შუადღისთვის მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ, სრულიად გაუგებარია რატომ აგრძელებენ ისინი დაბომბვებს და რატომ არ ჩანს დღემდე რუსეთის ტელევიზიაში კადრები თუ როგორ არის ცხინვალი დაკავებული მათ მიერ. მე მინდა გითხრათ, რომ ეს არის ელემენტარული ტყუილი, კოლეგებო. ჩვენ ამ ბოლო დროს ვისმენთ ძალიან ბევრ ტყუილს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან. ჩვენ მივეჩვიეთ წლების მანძილზე, რომ ეს იყო არამეგობრული სახელმწიფოს ტელევიზიები, რომლებიც ავრცელებდა საქართველოს შესახებ არამეგობრულ და ხშირად გაყალბებულ ინფორმაციას. დღეს ვითარება არის კიდევ უფრო უარესი. დღეს უნდა გავიაზროთ, რომ ეს აღარ არის, უბრალოდ, არამეგობრული სატელევიზიო არხები. დღეს უნდა გავიაზროთ, რომ ეს არის სატელევიზიო არხები იმ ქვეყნის, რომელიც აწარმოებს საომარ მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ. ეს არის ჩვენს წინააღმდეგ მეომარი ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელიც ავრცელებს იმ ინფორმაციას, რომელიც სჭირდება იმ ქვეყანას. ამიტომ, ნუ დავუწყებთ სიმართლის, თუნდაც მარცვლის ძებნას მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, წინა წლების მანძილზე ჩვენ მივეჩვიეთ, რომ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, გარკვეული გაფილტვრის შედეგად, შესაძლებელი იყო დაგვეყვანა რაციონალურ მარცვლამდე. დღეს, სამწუხაროდ, ესეც აღარ არის შესაძლებელი. დღეს რასაც ავრცელებენ

რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ტელევიზიები, ინტერნეტი, ეს არის სრული ტყუილი და ამიტომ, მე მოგიწოდებთ თქვენც და პირველ რიგში, ქართულ საზოგადოებას და ქართულ მედიას, ნუ აყვებით მათ ტყუილის, ჭორების და პროვოკაციების ტირაჟირებაში. ისინი მოქმედებენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. მათი ინტერესი დღეს არის საქართველოს სახელმწიფოს დამარცხება, ამიტომ ვითარება არის განსხვავებული. ვითარება, ისევ ვიმეორებ, არის სტაბილური მიუხედავად მძიმე შეტაკებებისა, რომელიც იქ მიმდინარეობს და მე მინდა აღვნიშნო, რომ ქართული არმია, ჩვენი ოფიცრები, ჩვენი ჯარისკაცები აბსოლუტურად გმირულად არა მხოლოდ აკონტროლებენ სიტუაციას, არა მხოლოდ ინარჩუნებენ იმ პოზიციებს, რომელიც მიღწეული იყო, არამედ ასრულებენ იმ ამოცანას, რა ამოცანასაც შეადგენდა მთლიანად რეგიონის გასუფთავება კრიმინალური და ბანდიტური რეჟიმისგან და იქ მოსახლეობის ინტერესების და მოსახლეობის უფლებების დაცვას საბოლოო ჯამში. ეს გახლავთ კონკრეტულად ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება.

რაც შეეხება ზოგად ვითარებას, ზოგადი ვითარება კიდევ უფრო სერიოზულია, კოლეგებო, და ის, რაც ხდება ცხინვალში, არის მხოლოდ პატარა ელემენტი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული გეგმის. მე ვფიქრობ უკანასკნელ დღეებში ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ ცხინვალი და ზოგადად კონფლიქტის ზონები რუსეთის მხრიდან იყო მხოლოდ საბაბი, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის საბაბი, საქართველოს დასჯის საბაბი, საქართველოს განადგურების. მთელი ბოლო პერიოდის განმავლობაში, ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა რუსული არმიის წვრთნები საქართველოს საზღვრებთან. ჩვენ ყველა მივეჩვიეთ კიდეც იმას, რომ უკვე ღიად ცხადდებოდა, რომ ამ წვრთნების მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ნაწილების შესვლა და საქართველოს ოკუპაცია. ჩვენ მივეჩვიეთ იმიტომ, რომ ვერავის ვერ წარმოედგინა, რომ XXI საუკუნეში შესაძლებელი იყო მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტანკების და რეგულარული ნაწილების შეყვანა, ვერავის ვერ წარმოედგინა, რომ XXI საუკუნეში შესაძლებელი იყო მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიის ღია საჰაერო დაბომბვა, ვერავის ვერ წარმოედგინა, რომ XXI საუკუნეში შესაძლებელი იყო არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სამოქალაქო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ობიექტების დაბომბვა და რასაც ჩვენ ვხედავთ უკანასკნელი, განსაკუთრებით, უკანასკნელი ერთი დღის განმავლობაში გახლავთ ის, რომ რუსული ავიაცია უტევს უკვე სამოქალაქო ობიექტებს, უტევს ეკონომიკურ ობიექტებს. ეს არ არის არანაირ კავშირში ცხინვალთან, ეს არ არის არანაირ კავშირში ზოგადად კონფლიქტთან,

სამშვიდობოებთან და სამხრეთ ოსეთთან. ეს არის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ეს არის ის, რისთვისაც ამდენი ხნის მანძილზე ემზადებოდა რუსეთი, რისი მოწმეც ნაბიჯ–ნაბიჯ და თანდათანობით ვიყავით ყველა ჩვენგანი და რისი აცილებაც, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა და ვერ შეძლო საერთაშორისო თანამეგობრობამ. დღეს საქართველო იმყოფება რუსეთის მხრიდან გამოუცხადებელი ომის პირობებში. დღეს საქართველო არის ქვეყანა, რომელიც აწარმოებს თავდაცვით ომს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. ეს არის რეალობა, ეს არის სამწუხარო რეალობა, ეს არ არის ჩვენი არჩევანი, არ შეიძლება ადამიანის არჩევანი და პოლიტიკური ხელმძღვანელობის არჩევანი იყოს კონფრონტაცია მეზობელთან, არ შეიძლება საქართველო იყოს დაინტერესებული კონფრონტაციით და ომით რუსეთთან, არ შეიძლება, ეს იქნებოდა ჩვენი მხრიდან თვითმკვლელობისკენ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ ეს მოხდა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით. რახან ეს მოხდა ჩვენ არჩევანი აღარ გვაქვს, კოლეგებო. დღეს ჩვენი არჩევანი არის ის, რომ გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა, დღეს ჩვენი არჩევანი არის ის, რომ დავდგეთ მაგრად, ისე მაგრად, როგორც ამ მომენტამდე ვდგავართ და დღეს ჩვენი არჩევანი არის, რომ ჩვენი მაგრად ყოფნით, ჩვენი ერთად დგომით და ჩვენი ერთიანობით გადავარჩინოთ ქვეყანა და საქართველო გავხადოთ სრულიად სხვა ქვეყანად. ჩვენ თვალწინ, ჩვენი ხელით, ამ წუთებში იბადება ახალი საქართველო. ჩვენ ყველა, თითოეული ჩვენგანი , ახლა ვინც აქ ვართ, ვინც იბრძვის, ვინც თავის საქმეს აკეთებს, ყველა თითოეული ჩვენგანი, ვაშენებთ და ვქმნით ახალ საქართველოს, ღირსეულ ქვეყანას , ქვეყანას, რომელიც იქნება თავისუფალი, თავისუფალი, არამხოლოდ ჩვენთვის, არამხოლოდ ჩვენი შვილებისთვის, ქვეყანას, რომელიც იქნება ღირსეული და თავისუფალი ჩვენი ყველა მომავალი თაობისთვისთვის. აი, ეს უნდა გავიაზროთ კარგად, მეგობრებო, ჩვენ არ ვიბრძვით ჩვენი თავისთვის, ჩვენ ვიბრძვით იმისთვისთვის, რომ ჩვენი მომავალი საქართველო, მომავალი თაობების და მომავალი საუკუნეებისთვის იყოს თავისუფალი, ღირსეული ერთიანი ქვეყანა და ამის დათმობა არ შეიძლება და ამას ჩვენ არ დავთმობთ და, ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ. პატრიარქმა ბრძანა გუშინ, რომ სიმართლე არ არის რაოდენობაში, სიძლიერე არ არის რაოდენობაში, სიძლიერე არის სიმართლეში და ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ მართლები, აბსოლუტურად ვეთანხმები, ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ მართლები იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ ვართ ჩვენს სამშობლოში, ჩვენს ტერიტოტორიაზე, ჩვენ არავის არ ვერჩით, ჩვენ ვიცავთ თავს. ამიტომ სიმართლე ჩვენს მხარეს არის და ჩვენი ერთიანობით ჩვენ გავიმარჯვებთ და ჩვენ სიმართლეს

მივიყვანთ ბოლომდე. აი, ესეთი არის, მეგობრებო, მდგომარეობა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ძალიან მძიმე ინფორმაციებისა, რომელიც მოდის, ძალიან მძიმე კადრებისა, რომელიც თითოეულმა თქვენთაგანმა, ალბათ, იხილა, განსაკუთრებით საუბარი მაქვს საჰაერო დაბომბვის შედეგებზე, მიუხედავად ყველაფრისა, მთლიანობაში ვითარება კონტროლდება ქართული მხარის მიერ, ცენტრალური ხელისუფლების მიერ, თავდაცვის სამინისტროში ისევე, როგორც ყველა სხვა შესაბამის უწყებაში და ძალოვან უწყებაში არის სრული წესრიგი, ვითარება არის მთლიანად კონტროლის ქვეშ და ის ამოცანები, რომელიც დაყენებულია ქართული შეირაღებული ძალების, ქართული პოლიციის და სხვა უწყებების წინაშე, ის ამოცანები მთლიანობაში სრულდება. მე მინდა ასევე შევეხო ვითარების მეორე კომპონენტს და მე მინდა მივმართო ჩვენს მოსახლეობას, რომ არ არსებობს არანაირი საფუძველი პანიკისთვის, ბუნებრივია, რომ ქალაქში ვრცელდება და საზოგადოებაში ზოგადად ვრცელდება ძალიან ბევრი ხმა, ერთ–ერთი ასეთი ხმა მე სულ რამდენიმე წუთის წინ მითხრეს, რომ თურმე 2 საათზე პარლამენტის შენობა უნდა დაბომბილიყო და ვინაიდან 3–ს აკლია 20 წუთი, კოლეგებო, გილოცავთ, მე მგონი, ეს ჭორი არ გამართლდა, ძალიან ბევრი ასეთი ჭორი ვრცელდება საზოგადოებაში და ამ ჭორების აბსოლუტური უმრავლესობა გახლავთ უბრალოდ ტყუილი, ამიტომ მე მინდა მივმართო ჩვენს საზოგადოებას, მე მინდა დავამშვიდო, არ რასებობს არანაირი საფუძველი პანიკისთვის, საქართველოს მთავრობა მუშაობს, არ არსებობს არანაირი საფუძველი პანიკისთვის, რომ მოსახლეობამ იფიქროს გნებავთ სურსათის, გნებავთ საბანკო სისტემის , გნებავთ ნებისმიერი სხვა მომარაგების სისტემის სტაბილურობაზე, ყველაფერი მუშაობს სტაბილურად და კარგად, დღეს 4 საათზე იქნება მთავრობის სხდომა, სადაც უშუალოდ მინისტრებისგან მოსახლეობას ექნება საშუალება მოისმინოს ინფორმაცია, რა ხდება მათ სფეროებში, ვითარება არის სტაბილური, მე მაგალითისთვის გეტყვით, რომ გუშინ საგადასახადო სისტემის დღიურმა ამოღებამ საბიუჯეტო სახსრების შეადგინა 25 მილიონი ლარი და ეს არის უფრო მეტი ვიდრე ეს ხდებოდა წინა დღეების და თუნდაც წინა თვეების განმავლობაში. ამიტომ, მთლიანობაში ქვეყანაში არის სტაბილური, მდგრადი სიტუაცია. სიტუაცია, რომელიც მთლიანად ექვემდებარება კონტროლს ხელისუფლების მხრიდან და ამიტომ მე მოვუწოდებ ჩვენს მოსახლეობას იყოს მშვიდად. მე მესმის, ძნელია მშვიდად ყოფნა, როდესაც ასეთი არაორდინალური ვითარებაა შექმნილი, მაგრამ ყველანი უნდა ვიყოთ მშვიდად. ვითარება კონტროლდება, ვითარება არის სტაბილური და მიუხედავად ყველა გამოწვევისა, მიუხედავად ყველა სირთულისა ჩვენ შევძლებთ ჩვენი

მშვიდად ყოფნის პირობებში, ჩვენი ერთიანობის პირობებში, ჩვენი ერთად დგომის და სიმტკიცის პირობებში ჩვენ შევძლებთ პასუხი გავცეთ და გადავლახოთ ყველა ის სირთულე, რომელიც ჩვენს წინაშე დგას. ამიტომ, ძვირფასო კოლეგებო თქვენც და პირველ რიგში ქართულ საზოგადოებას მე მოვუწოდებ ერთიანობისკენ. მე მოვუწოდებ სიმშვიდისკენ და ჩვენ, როგორც საზოგადოება, ჩვენ, როგორც პოლიტიკოსები, ყველა ერთად უნდა ვიყოთ ღირსი იმისა, რაც დღეს ხდება. ჩვენ უნდა ვიყოთ ღირსი იმ ჩვენი მებრძოლების, რომლებიც დღეს იბრძვიან და თავისი სიცოცხლის ფასად იცავენ საქართველოს. ჩვენ უნდა ვიყოთ ღირსი იმ რეზერვისტების, რომლებიც ასეთი ენთუზიაზმით მიდიან. ჩვენ უნდა ვიყოთ ღირსი იმ საქართველოსი, იმ ქვეყნისა, რომელსაც დღეს ჩვენ ვაშენებთ და რომელსაც ჩვენ დღეს ვიცავთ. აი, ეს არის ჩვენი ამოცანა. ეს ამოცანა არის ჩვენი ღირსების საქმე, ეს არის ჩვენი გადარჩენის საქმე და ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობის საქმე ჩვენი მომავალი თაობების წინაშე. ამიტომ, ჩვენ ამ პასუხისმგებლობას ბოლომდე ვატარებთ, ჩვენ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და საქართველო იქნება ერთიანი, საქართველო იქნება გამთლიანებული, საქართველო იქნება ძლიერი და ამას გავაკეთებთ ყველა ჩვენგანი ჩვენი ერთად ყოფნით, ჩვენი ერთად დგომით, ჩვენი სიმშვიდით. მე მოგიწოდებთ ყველას ერთიანობისკენ, პასუხისმგებლობის გააზრებისკენ და სიმშვიდისკენ. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, გაუმარჯოს საქართველოს (ტაში).

და, კოლეგებო, სანამ დავასრულებ მე მინდა გთხოვოთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ყველა იმ ადამიანის ხსოვნას ვინც დაიღუპა ამ დღეებში, სამხედროებისაც და მშვიდობიანი მოსახლეობის. დიდი მადლობა.

სხდომის თავმჯდომარეობას აგრძელებს პარლამენტის
თავმჯდომარე დავით ბაქრაძე

<u>თავმჯდომარე</u>. გმადლობთ, კოლეგებო. გადავიდეთ დღის წესრიგით განსახილველ საკითხზე, რომელიც უკვე დარიგებული გაქვთ. ეს არის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. მომხსენებლად დანიშნულია იუსტიციის მინისტრი ბატონი ნიკა გვარამია. გთხოვთ, ბატონო ნიკა.

<u>ნ.გვარამია.</u> მოგესალმებით, პატივცემულო პარლამენტის წევრებო. წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული

მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. რეგლამენტის თანახმად მე ვალდებული ვარ წავიკითხო ინფორმაცია, რომლითაც საბუთდება აღნიშნული ბრძანებულება თუმცა, გაცნობებთ, რომ ეს ბრძანებულება საკმაოდ ინფორმაციულია ან ფაბულა არის საკმაოდ განვრცობილი, არ არის, ასე ვთქვათ, სქემატურად დადგენილებითი და დადგენილებითი ნაწილი მხოლოდ წარმოდგენილი თქვენ წინაშე ამასთანავე საზოგადოება ფლობს განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, პარლამენტის წევრები ამ ინფორმაციებს სრულად და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემაც მნიშვნელოვნად შეავსო, ასე ვთქვათ, ინფორმაციული ნაკადით აღნიშნული საკითხი. მე სანამ დავიწყებ ბრძანებულების ტექსტის კითხვას, მინდა აღვნიშნო საქართველოს პარლამენტის და მისი თავმჯდომარის მისი ყოველი წევრის მნიშვნელოვანი როლი დღეს მიმდინარე პროცესებში და ასევე აღვნიშნო საქართველოს პარლამენტში არსებული ოპოზიციური ძალების მხარდაჭერის ძალიან დიდი მნიშვნელობა დღევანდელ პროცესებში და მადლობა გადავუხადო ყველა თქვენგანს როგორც საქართველოს მოქალაქემ, როგორც ერთ–ერთმა რიგითმა ადამიანმა, რომლისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ის პროცესები, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფოში. ძალიან დიდი ბოდიშით ამ გადახვევისთვის, ბოდიშს გიხდით და ეხლა გაგაცნობთ ბრძანებულების ტექსტს.

„ბოლო დღეების განმავლობაში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული ვითარება უაღრესად გამწვავდა. ადგილი აქვს სეპარატისტების მხრიდან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მასობრივ დარღვევას. მშვიდობიან მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმისხმისა და ძალადობის ფაქტებს. ამ ქმედებების შედეგად არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და მშვიდობის მყოფელებში. ათეულობით ადამიანი დაჭრილია, განადგურებულია მშვიდობიანი მოსახლეობის საკუთრება. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა ცალმხრივად შეეწყვიტათ ცეცხლი და შეთავაზებული წინადადებისა გამართულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები სეპარატისტების მიერ 7, 8 აგვისტოს დანხორციელდა მასირებული შეტევა მშვიდობიანი მოსახლეობის მისამართით. საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნა აუცილებელი და ადეკვატური ზომები შეიარაღებული თავდასხმის აღსაკვეთად. სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებები აქტიურად იქნა მხარდაჭერილი რუსეთის ფედერაციის მიერ. კერძოდ. 8 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან როკის გვირაბის გავლით საქართველოში შემოვიდა ასეულობით სამხედრო პირი და სამხედრო ტექნიკა, 8 აგვისტოსვე დღის განმავლობაში რუსეთის

ფედერაციის სამხედრო საფრენმა აპარატებმა არაერთგზის დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე და განახორციელეს ქარელის, გორის და მათი მიმდებარე სოფლების, ასევე ცხინვალის რეგიონის სოფლების, ვაზიანის სამხედრო ბაზისა და მარნეულის სამხედრო აეროდრომის დაბომბვა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და დაზიანდა შენობა–ნაგებობები. მოგვიანებით ასევე დაიბომბა სენაკის აეროპორტი, სამხედრო ბაზა და რკინიგზის სადგური, ასე რომ ფოთის პორტი, გემთსაშენი ქარხანა და სარკინიგზო კვანძი. 9 აგვისტოს დაიბომბა კოპიტნარის აეროპორტი, ქალაქ გორის რკინიგზის სადგური და საცხოვრებელი სახლები, რასაც მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. უკანასკნელ საათებში რუსეთმა აგრესიული ქმედებების განხორციელება დაიწყო აფხაზეთის მიმართულებითაც , აღნიშნული ტერიტორიების უმრავლესობა განლაგებულია ცხინვალის რეგიონიდან 200–300 კმ. დაშორებით, შესაბამისად რუსეთის მხრიდან განხორციელებული აგრესიული ქმედებები მნიშვნელოვნად გასცდა კონფიქტის ტერიტორიას და მოიცვა, პრაქტიკულად, მთელი საქართველო. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სახეზეა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე შეარაღებული თავდასხმის ფაქტი, რომელიც ატარებს როგორც ირიბ, ასევე პირდაპირ ხასიათს. ირიბი თავდასხმა გამოიხატა სეპარატისტული ძალების სრულ მხარდაჭერაში, მათი სამხედრო აღჭურვილობითა და ტყვია–წამლით მომარაგებაში, რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირების მიერ თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის, თანამდებობების დაკავებაში. თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, უშიშროების საბჭოს მდივანი, პრემიერ–მინისტრი. პირდაპირი სამხედრო თავდასხმა რუსეთის ფედერაციის მხრიდან გამოიხატა აქტიური , ინტენსიური და განგრძობადი საბრძოლო მოქმედებების წარმოებით, მათ შორის საქართველოს ტერიტორიის საჰაერო სივრცის არა ერთგზის დარღვევით და მასირებული დაბობმვით. ასევე გამოყენებულ იქნა შავი ზღვის საზღვაო სამხედრო ძალები და სამხედრო სახმელეთო შენაერთები. ეს ქმედებები თავისი ხასიათითა და მასშტაბით სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლით აღიარებული შეარაღებული თავდასხმის დეფინიციას და სწორედ ამგვარად უნდა იქნას კვალიფიცირებული. აღნიშნულ ვითარებაში არსებული საფრთხის საპასუხოდ ერთადერთ ადეკვატურ და შესაბამისად აუცილებელ ზომებს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 98–ე მუხლით გაეროეს წესდების 51–ე მიხლით და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით გამტკიცებული თავდაცვის უფლების გამოყენება. ამდენად, არსებობს ძალის გამოყენების

აუცილებლობა, რომელიც იქნება საქართველოს მიმართ განხორციელებული თავდასხმის პროპორციული და მიმართული იქნება შეარაღებული თავდასხმის შეჩერებისაკენ და სიტუაციის ესკალაციის თავიდან აცილებისაკენ. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რეგიონში დესტაბილიზაციის მშვიდობიან მოსახლეობაზე შეარაღებული თავდასხმისა და ძალადობის ფაქტების აღკვეთის, ადამიანის უფლებებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს კონსტიტუციის 73–ე მუხლის 1–ლი პუნქის „ზ“ ქვეპუნქტის 98–ე მუხლიდა და მე–100 მუხლის 1–ლი პუნქტის საომარი მდგომარეობის შესახებ საქაღთველოს კანონისა და მობილიზაციის შესახებ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გამოცხადდეს საომარი მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2. საომარი მდგომარეობის მოქმედების ვადა განისაზღვროს 15 დღით.

3. საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით სრული მობილიზაცია და შეიარაღებული თავდასხმის აღსაკვეთად გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამხედრო ძალები.

4. ბრძანებულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებებით, ხოლო შემდგომ ერთი დღის განმავლობაში ყოველ 2 საათში ერთხელ გადაიცეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით.

5.ბრძანებულება საათში წარედგინოს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ეკა ტყეშელაშვილი, საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველიში აკრედიტებული დიპლომატუიური მისიების ხელმძღვანელებს.

7. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭვდით ორგანოში.

გმადლობთ, ყურადღებისთვის. თუ არის რამე შეკითხვები ან შენიშვნები?

<u>თავმჯდომარე</u>.დიდი მადლობა კითხვები თუ არის, კოლეგებო? პროცედურის მიხედვით 238–ე მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად კამათის პროცედაურა არ არის გათვალისწინებული. საომარი ან საგანგები მდგომარეობის გამოცხადების განხილვის დროს თანამომხსენებლად

გამოდიან კომიტეტებიც და ფრაქციების წარმომადგენლები. კოლეგებო, სანამ თანამომხსენებლებს შევეხებით, მე ვიცი, რომ ბევრ თქვენგანს სურდა გამობრძანება და, ვთქვათ, თავისი პოზიციის დაფიქსირება იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც მიმდინარეობს. ჩვენ შეგვიძლია შევთანხმდეთ ასეთ პროცედურაზე, რომ, ვთქვათ, კენჭი ვუყაროთ და დავამტკიცოთ წარმოდგენილი ბრძანებულება და შემდეგ უკვე გვექნება გამოსვლების საშუალება თუ თანახმა ბრძანდებით ასეთი წესით ვიმუშაოთ. კი ბატონო. დიდი მადლობა. ამიტომ მაშინ... სანამ წორი გამართლებულა. კი ბატონო. გთავაზობთ, რომ უბრალოდ, უშუალოდ წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით თუ აქვთ სურვილი კომიტეტის თავმჯდომარეებს, რომ გამობრძანდნენ. ფრაქციის წარმომადგენლებს, როგორც ფრაქციას. კი ბატონო.

<u>გ.თორთლაძე.</u>დიდი მადლობა, მე არ შევუდგები იმის ახსნას საზოგადოებისათვის, თუ რა მნიშვნელოვანი დღე არის დღეს საქართველოში, მე არ შევუდგები იმის ახსნას–განმარტებას და, ასე ვთქვათ, იმის მოყვანას არგუმენტებად, რომ საბოლოოდ საქართველოში არ დარჩა არცერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც არ უერთდება ამ სულისკვეთებას. მე მინდა მივმართო მოსახლეობას, მე მინდა მივმართო საზოგადოებას, საქართველოში ბევრად უფრო მძიმე პერიოდი ყოფილა. მე ვიხსენებ აფხაზეთის პერიოდს, მე ვიხსენებ იგივე სამაჩაბლოშიც უფრო მძიმე პერიოდში, უფრო მძიმე ვითარებაში დარჩენილა მოსახლეობა აბსოლუტურად უპატრონოდ. ეხლა მოსახლეობა უპატრონოდ არ არის დარჩენილი. ეხლა იქ იმყოფება ჩვენი შენაერთები. მე ვფიქრობ, ის რასაც აკეთებს რუსეთის სახელმწიფო, ეს არის პირდაპირი და ღია აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, ეს არის გამოუცხადებელი და უკვე შეიძლება ითქვას, რომ გამოცხადებულიც იმიტომ, რომ მოქმედებები, პრაქტიკულად, სცდემა კონფლიქტის რეგიონს, მოქმედებები გაიშალა მთელს საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ მთელი საქართველო, ყველა, მოსახლეობის ყველა ნაწილი უნდა ვიყოთ მზად იმისათვის, რომ ჩვენ შეიძლება მოგვიხდეს და შეიძლება მოგვიწიოს ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების მოგერიება. აქედან გამომდინარე, უნდა იყოს სრული მობილიზება ქვეყანაში და ამ დროს შეუძლებელია არსებობდეს განსხვავებული აზრი. აზრი არის მხოლოდ ერთი, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა დავიცვათ.

ჩვენ ქვეყანას ემუქრება დღეს ანექსია და რასაც მიუთითებს სწორედ აი ის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაშლილი დაბომბვები. დაბომბვა არ მიმდინარეობს მხოლოდ კონფლიქტის ზონაში, დაბომბვა მიმდინარეობს როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთ

საქართველოში და არ არის არჩეული კონკრეტული ობიექტები. კონკრეტული ობიექტების გარდაც არანაირი უფლება არავის არა აქვს, რომ საქართველოს ტერიტორია დაარღვიოს და შემოვიდეს. ამიტომ, მე ვთხოვ მოსახლეობას, მე მივმართავ ჩვენ ხალხს, რომ სუყველანი ერთსულოვანი უნდა ვიყოთ ამ საკითხთან დაკავშირებით და შეუძლებელი არის შედეგი არ მივიღოთ. შეუძლებელი არის თუნდაც აი ამ მძიმე ვითარებაში, როდესაც ძალიან ბევრი ჩვენი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტია დაბომბილი და შეიძლება შემდგომში ვივარაუდოთ, რომ კიდევ შეიძლება ამ ობიეიექტების რიცხვი გაიზარდოს. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო უნდა იყოს მზად ხანგრძლივი და მძიმე პირობებისათვის. ეს თუ ეცოდინება ჩვენ მოწინააღმდეგეს, რომ ჩვენ ვართ მზად ხანგრძლივი, დიახაც, ხანგრძლივი ბრძოლისათვის, მაშინ, მე ვფიქრობ, სურათი ნათელი იქნება ყველასთვის და ბევრად უფრო გაადვილდება ყველაფერი. ამიტომ, დიდ მწუხარებას გამოვთქვამ და მინდა მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებს, რომლებმაც გმირულად დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე. მაგაზე დიდი გმირობა არ არსებობს როდესაც შენს ქვეყანას იცავ და აქედან გამომდინარე, რა ვიცი, ვუერთდებით ყველანაირ გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით ამ გადაწყვეტილებას. ჩვენ ქვეყანაში ნამდვილად გვაქვს საომარი მოქმედება, საომარი მდგომარეობა და მთელი საქართელო, მთელი ქვეყანა უნდა დაემორჩილოს ამ კანონს. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე</u>. გმადლობთ. ბატონო გიგი, თქვენ ფრაქციის სახელით გნებავთ თუ . . . გამოსვლები, მაშინ იქნებ ეს დოკუმენტი მივიღოთ და შემდეგ, გამოსვლები შემდეგ გავაკეთოთ. გმადლობთ. მომხსენებლის დასკვნითი სიტყვა. მე მინდა ბატონ ნიკას, უბრალოდ, ვთხოვო, სანამ დასკვნითი სიტყვა ექნება, იქნებ განმარტოს ჩვენი საზოგადოებისთვის რა იგულისხმება საომარი მდგომარეობის გამოცხადების, დიახ, აქედან, ტრიბუნიდან, ბატონო ნიკა, ბრძანებულებაში, ვინაიდან აღნიშნული ბრძანებულება წარმოდგენილი სახით არ ითვალისწინებს არანაირ დამატებით შეზღუდვებს და მე ვთხოვ ბატონ ნიკას, ზუსტად განმარტოს, რომ საზოგადოებაში იყოს მკაფიო გაგება თუ რა სტატუსთან გვაქვს და რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რომ თავიდან ავიცილოთ ასევე ზედმეტი, არასასურველი, დაუსაბუთებელი ჭორები.

<u>ნ.გვარამია</u>. დიდი მადლობა, ბატონო დავით. მე რამდენიმე სიტყვით განვმარტავ, მარტივად გასაგებ ენაზე, სამართლებრივ ბუნებას საომარი მდგომარეობისა. აღნიშნული აქტის მიღებით გამოცხადდება საქართველოს

მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობა და სრული მობილიზაცია. თავისთავად ცხადია, საომარი მდგომარეობის გამოცხადება იწვევს გარკვეული ზომების გამოყენებას, თუმცა, ეს ზომები ძირითადად უკავშირდება მართლწესრიგს. ძირითადად უკავშირდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციას და მათ მობილიზაციას და არანაირად არ არის მნიშვნელოვან, ასე ვთქვათ, პრესა არ ითვალისწინებს რიგითი მოქალაქეებისთვის, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხვალიდან იქნება რაიმე პრობლემები, მაგალითად, სურსათის მომარაგებასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივად გაგრძელდება ცხოვრების რიტმი ქვეყანაში ამ თვალსაზრისითაც, ვაჭრობის თვალსაზრისითაც, გადაადგილების თვალსაზრისითაც, თუ, რა თქმა უნდა, დამატებით არ იქნა რაიმე მიმართულებით გადაადგილება შეზღუდული. კონკრეტული უფლებების შეზღუდვას სჭირდება ცალკე დეკრეტი, დამოუკიდებელი დეკრეტი. ჯერჯერობით ასეთი რამ არ არის მიღებული საქართველოს პრეზიდენტის მიერ და შესაბამისად არ არის შემოსული დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტში. თუ ასეთი ღონისძიებები იქნება მიღებული, ამასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ. ასეთი ღონისძიებები, მიუხედავად იმისა, რომ საომარი მდგომარეობა მიიღება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ნამდვილად არ ნიშნავს, რომ ეს ღონისძიებები შეიძლება გავრცელდეს მთელი ტერიტორიის მასშტაბით. ბუნებრივია, რომ ტერიტორიული დათქმები არის სავსებით შესაძლებელი და, პრინციპში, ტერიტორიული დათქმებითაც იქნება მიღებული, მაგალითად გადაადგილების აკრძალვასთან დაკავშირებით თუ იქნა ამგვარი აქტი მიღებული. ჯერჯერობით, როგორც მოგახსენებთ, არ არის. მე ვფიქრობ, რომ ძირითადი მიმართულებები, უკვე მოგახსენეთ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ძირითადი მიმართულებები და ძირითადი სიმძიმე დააწვება სახელმწიფო დაწესებულებებს. ისინი უნდა იყვნენ უფრო მეტად მობილიზირებულნი. პრაქტიკულად, აღარ არსებობს დასვენების დრო, ასე ვთქვათ, სამუშაო საათები და ა. შ. 24-საათიანი რეჟიმი არის მთელი ქვეყნის მასშტაბით. აი ამ ყველაფერს აწესრიგებს საომარი მდგომარეობის შესახებ ბრძანებულება. ასევე იძლევა, ასე ვთქვათ, შესაძლებლობებს საომარი, ასე ვთქვათ, სამხედრო მიმართულებით გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებისა, რომელიც ჩვეულებრივ ვითარებაში, ასე ვთქვათ, შეუძლებელია. ასევე მობილიზაციას რაც შეეხება, მობილიზაციაც ეხება, ბუნებრივია, ე. ი. სრული მობილიზაცია ეხება საქართველოს მთელ ტერიტორიას უკვე, თავისთავად ცხადია და იმ ადამიანებს, იმ პირებს, ვინც არიან მობილიზაციის სუბიექტები, თავისთავად ცხადია, ანუ რეზერვში ჩარიცხულ პირებს და არა მთელ მოსახლეობას, ასე ვთქვათ. ასე რომ, ეს არ არის, რაღაც, ასე ვთქვათ, აქტი, რომელიც მნიშვნელოვნად

შეძღუდავს და მნიშვნელოვან და ძალიან მძიმე ვალდებულებებს გაუჩენს რიგით მოქალაქეებს, ნამდვილად არ არის ასე, ცხოვრება გრძელდება აბსოლუტურად ჩვეულებრივი რიტმით და თუ, რა თქმა უნდა, იქნება გარკვეული საფრთხეები, ეს საფრთხეები იქნება თავიდან არიდებული და ეს აქტი არის ამის მექანიზმი, ამის ბერკეტი და ამ აქტის მიღება არის სწორედ ამიტომ აუცილებელი. სხვა ყველაფერში აბსოლუტურად ჩვეულებრივი რიტმი შენარჩუნდება ცხოვრებისა. ეს არის რაც შემიძლია ვთქვა საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით და გთხოვოთ, რომ, მე მესმის, რომ აცნობიერებთ სრულად ამ აქტის მიღების მნიშვნელობას და გთხოვთ, რომ მხარი დაუჭიროთ ამ აქტს.

<u>თავმჯდომარე.</u> დიდი მადლობა, ბატონო ნიკა. კოლეგებო, ვინაიდან რამდენიმე დეპუტატი შემობრძანდა დარბაზში და რაოდენობამ მოიმატა, კენჭისყრის წინ გთხოვთ კიდევ ერთხელ გავიაროთ რეგისტრაცია. გთხოვთ, მოემზადოთ რეგისტრაციისათვის. გთხოვთ, ჩართოთ რეგისტრაციის რეჟიმი. რეგისტრაცია გაიარა 90–მა დეპუტატმა. გმადლობთ. კვორუმი არის.

კოლეგებო, გთხოვთ, მოემზადოთ კენჭისყრისათვის. კენჭი ეყრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. გთხოვთ, მოემზადოთ. გთხოვთ, ჩართოთ კენჭისყრის რეჟიმი. მიმდინარეობს კენჭისყრა.

მომხრე – 90 , წინააღმდეგი – 0

გმადლობთ. გადაწყვეტილება ერთხმად არის მიღებული.

კოლეგებო, მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთხმად იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული. ალბათ, თითოეული ჩვენგანი აცნობიერებს რა სახის და რა ტიპის და რამდენად მძიმე გადაწყვეტილების მიღება მოგვიწია, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არის დროებითი და იმედი ვიქონიოთ, რომ საბოლოო ჯამში ეს გადაწყვეტილება მიგვიყვანს მდგომარეობის განმუხტვამდე და მიგვიყვანს ჩვენი ამოცანების და მიზნების შესრულებამდე. დიდი მადლობა, ამითი გადაწყვეტილება მიღებულია ჩვენ შგვიძლია გავხსნათ დრო გამოსვლებისთვის. კოლეგებო, ვისაც გსურთ გთხოვთ მიბრძანდეთ მოკროფონებთან. პროცედურა, შეზღუდვა არ იქნება იმის გამო, ვითარების განსაკუთრებულობის გამო, მე ყველა პარლამენტის წევრს მივცემ საშუალებას გამობრძანდეს ვისაც ამისი სურვილი ექნება. პირველი მოკროფონთან ბატონი გიგი იყო, ამიტომ გთხოვთ ჩართოთ პირველი და მანდატურმა მომაწოდოს რიგითობა გამომსვლელების.

<u>**გ.წერეთელი.**</u> გმადლობთ, ბატონო დავით. ეხლა, ძალიან არა სასიამოვნო იყო ბუნებრივია ჩვენი განცდა, როცა ეს გადაწყვეტილება მივიღეთ, მაგრამ ამავე დროს ეს არის აუცილებელი და თითოეული ჩვენთაგანი იმედოვნებს, რომ ეს პროცესი გაცილებით მალე დასრულდება. მე ვფიქრობ, რომ გარკვეული ფსიქოლოგიური მზადყოფნა იმისთვის რაც ხდება საზოგადოებაში, ალბათ, იყო სხვა მხრივ მზადყოფნა ჩვენს ხელისუფლებაში და ბუნებრივია ქვეყანაში, მე რესურსების კუთხით ვსაუბრობ ასეთი მზადყოფნაც იყო და ეს დამალული არასდროს არ ყოფილა. ჩვენ მთელი ამ ხნის განმავლობაში სწორედ იმას ვაკეთებდით და ვეუბნებოდით ძალიან ღიად ჩვენს თანამოქალაქეებს, რომ შესაძლებელია ასეთი რამ მოხდეს და ამიტომაც სჭირდება საქართველოს მის თავდაცვისუნარიანობას გაძლიერება. სამწუხაროდ, რუსეთი თავის დამუშავებულ ამ ძალიან კარგ ტექნიკას, ასევე იყენებს, ჩვენ მილიონი ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს იმისა თუ როგორ ხდებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლა, შეჭრა სხვადასხვა საბაბით, თუმცა უმეტესი ეს იყო მათი მოქალაქეების დაცვა, მაგრამ მე ძალიან ეჭვი მეპარება, რომ ასეთი მასირებული ბომბარდირების დროს თუ საარტილერიო ცეცხლის დროს არჩევდეს ვინმე ვისა აქვს იქ რუსული პასპორტი ჯიბეში და ვისა აქვს ქართული პასპორტი და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ძალიან შორს წავიდა რუსეთი და თუ ჩვენ ვფიქრობდით, რომ არსებობდა მცირე მაინც საღი და რაღაც გონიერი გადაწყვეტილებების რესურსი, ეს არ აღმოჩნდა, ალბათ ისე, როგორც ისტორიულად რუსეთის ყველა ხელმძღვანელი თავის ავტორიტეტს იმკვიდრებს იმით, რომ რომელიმე ქვეყანას, ასე ვთქვათ, აგრესიას უცხადებს. ერთი რამ არის, ჩემი აზრით, რომ ერთია სამხედრო მოქმედებები და ჩვენ ვხედავთ ჩვენი თავდაცვის ძალების საკმაოდ სერიოზულ პოზიციებს დღეს, მაგრამ ძალიამ მნიშვნელოვანია ის, რაზეც ბატონი დავითი საუბრობდა, რაზეც ისაუბრა პრეზიდენტმაც და, ალბათ, ერთ–ერთი მთავარი ამოცანა სწორედ არის ორგანიზებულობა, სწორედ არის ის, რომ მოსახლეობაში იყოს მაქსიმალური სიმშვიდე, იმიტომ, რომ ყოველთვის ასეთი ტიპის აგრესიის დროს არის ეს დიდი მიმართულება, რომ დაითესოს ქაოსი, პანიკა ათასგვარი ჭორების გავრცელება და ასე შემდეგ. ჩემი აზრით და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, აი, ეს გუშინდელი კონსოლიდაცია ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის, დღესაც იქნება, ალბათ, ხვალაც, აქაც ჩვენი პოლიტიკური ერთობა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისათვის უნდა იყოს გარანტია სწორედ იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გაუძლებს ამ შემოტევას, გაუძლებს იმ აგრესიას, რომელიც არის და ჩვენ ნამდვილად მივაღწევთ ჩვენ საწადელს. ჩვენ არავის ტერიტორიას არ ვიპყრობთ, ჩვენ არავის ომს არ ვუცხადებთ. აი, ბოლო განხილვა პარლამენტში, ჩვენ კარგად გვახსოვს როგორ

აღვშფოთდით, როცა რუსეთმა ღიად განაცხადა, რომ ეს იყო მისი თვითმფრინავები და ღიად დაარღვიეს საჰაერო სივრცე საქართველოსი, მაგრამ ამავე დროს არაერთხელ გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია, რომ ჩვენ აგრესიაზე აგრესიით არ ვპასუხობთ, მაგრამ ეს იყო, ალბათ, მართლაც გამოუვალი, ის რაც გაკეთდა, სწორედ ასეთი სამხედრო ოპერაცია და საქართველოს შესწევს დღეს ძალა და არაერთხელ გაგვიცხადებია, რომ უპასუხოს სამხედრო აგრესიას.

მე საგანგებოდ მინდა ერთი რამ აღვნიშნო კიდევ, რომ აქ არ არის ესე და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მარტო სამიზნე აქ რომელიმე ეკონომიკური სტრატეგიული ობიექტი ან სამხედრო ობიექტი არ არის. ჩვენ ვნახეთ, რომ იყო, მშვიდობიანი მოსახლეობაც დაიბომბა, სახლები და ასევე სამედიცინო დაწესებულებაც, აი, გორის სასწრაფო დახმარების სადგურიც. ეს მართლაც სცილდება ყველანაირ საზღვრებს დღეს, ამიტომაც ასეთ ვითარებაში ჩვენ გვჭირდება კიდევ უფრო მეტად ორგანიზებულობა, კიდევ უფრო მეტი სიმშვიდე და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ სწორედ ამ კედლებიდან საქართველოს ხელისუფლებაც, პარლამენტიც, თითოეული ის ადამიანი, ვინც დღეს დაკავებულია სამსახურში, საჯარო იქნება თუ კერძო აჩვენებს თავის სამოქალაქო პოზიციას და ყველაფერი გაკეთდება ქვეყანაში იმისთვის, რომ ეს პროცესი იყოს რაც შეიძლება ნაკლებად საზიანო ქვეყნისთვის და რაც შეიძლება ხანმოკლე. ასევე ვფიქრობ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობაც, ალბათ, გაცილებით უფრო ეფექტური იქნება ამ ორი–სამი დღის განმავლობაში, რაც ხელს შეუწყობს მდგომარეობის განმუხტვას. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე</u>.გმადლობთ. მე–4, შემდეგ მე–3.

<u>გ.ახვლედიანი</u>. ბატონებო, კოლეგებო, მართლაც ძალიან მძიმე და ნაკლება სასიამოვნო პროცესია როდესაც ხმას აძლევ შენს ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადებას, მაგრამ ყველას კარგად გვესმის, რომ ეს გარდაუვალი აუცილებლობით იყო განპირობებული და მე მართლაც ამაყი ვარ და მინდა გითხრათ, რომ ბედნიერი იმითაც კი, რომ დღეს ეს გადაწყვეტილება ერთხმად, ერთმნიშვნელოვნად, ყოველგვარი აზრთა სხვადასხვაობის და ყოველგვარი შინაგანი აზრთა სხვადასხვაობის გარეშეც იყო მიღებული, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ამ შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ქვეყნის ისე საკუთარი თავის ღალატიც იქნებოდა.

მე, უპირველეს ყოვლისა, მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც, გუშინ ჩვენი ფრაქციის წარმომადგენლები ვიმყოფებოდით, უმცირესობის წარმომადგენლები

ვიმყოფებოდით გორში, შევხვდით იქ ჩვენი სამხედრო ნაწილის წარმომადგენლებს, ვესაუბრეთ მათი მორალური მდგომარეობა ვნახეთ მათი, ამაღლებული მორალური მდგომარეობა ვნახეთ და მე მინდა უპირველეს ყოვლისა მათ გადავუხადო ძალიან დიდი მადლობა იმისათვის, რომ ისინი თავისი სიცოცხლის რისკის ფასად დღეს იბრძვიან თითოეული ჩვენგანის, ჩვენი ოჯახების და თითოეული ქართული ოჯახის დასაცავად და მათი მშვიდობის უზრუნველსაყოფად. მე მინდა ძალიან დიდი მწუხარება გამოვთქვა და ვიზიარებ და მივუსამძიმრო იმ ოჯახებს , რომლებმაც დაკარგეს თავიანთი ოჯახის წევრები, იქნებიან ეს სამხედოები თუ იქნებიან ეს მშვიდებიანი მოქალაქეები. და კიდევ ერთი, მე ძალიან სიამაყით მინდა განვაცხადო და შევიგრძნო და მინდა სიამაყე გამოვხატო იმის გამო, თუ რა ერთობა და თუ რა ერთიანობა გამოიხატა გუშინ მთელი ქვეყნის მაშტაბით. თითოეული ჩვენი მოქალაქიდან გამომდინარე. როდესაც მთელი ღამის განმავლობაში, მთელი ქვეყანა ერთიანობის დემონსტრირებას ახდენდა იმ ერთიანი პრობლემის და იმ საერთო მტრის წინააღმდეგ, რის წინაშეც ჩვენ ახლა ვდგევართ. მე მინდა მოვუწოდო თითოეულ თქვენგანს და მე მინდა გამოვთქვა მოსაზრება, რომ ყველაფერი იქნება გასაკეთებელი ჩვენი, როგორც კანონმდებლების, ჩვენი როგორც პარლამენტარების მხრიდან, ჩვენ საერთაშორისო კოლეგებთან დასაკავშირებლად და მათი მხრიდან რაც შეიძლება სერიოზული ზემოქმედების განხორციელების თვალსაზრისით ჩვენი ჩრდილოელი მეზობელის მიმართ. ეს არის, ალბათ, ამ შემთხვევაში დღესდღეობით უპირველესი მოვალეობა თითოეული ჩვენგანის გავააქტიუროთ მუშაობა სწორედ ჩვენი უცხოელი კოლეგების მიმართულებით და მათ აუხსნათ, განუმარტოთ, დავანახოთ და მივაღებინოთ ის დადგენილებები, ის გადაწყვეტილებები და ის ზემოქმედების მექანიზმები, რომლებიც ამ შემთხვევაში იქნება კიდევ დამატებითი ფაქტორი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის, ასე ვთქვათ, ქმედებების ასალაგმავად. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე.</u> დიდი მადლობა. მე–3 , შემდეგ მე–2.

<u>გ.იმნაძე.</u> ბატონო დავით, პატივცემულო კოლეგებო, მე მინდა პირველ რიგში, მივუსამძიმრო იმ ოჯახებს, რომლებმაც, ასე ვთქვათ, განიცადეს ეს დიდი დანაკლისი და მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, მე დღეს დილით ჩამოვედი გორიდან, ჩვენ, ასე ვთქვათ, რეზერვისტები ვიღებთ მონაწილეობას, ოღონდ არა ისეთ აქტიურს, როგორც ძირითადად და რეგულარული საჯარისო ნაწილები, მე მინდა სიამაყის გრძნობით გამოვხატო, ის რომ ჩვენი სამხედრო შენაერთები, რეგულარული ჯარი, ასე ვთქვათ, პროფესიონალურად დგას და პირიქით წინ მიდის და უტევს.

უბრალოდ, ძალიან შემაშფოთებელი ფაქტია, რომ დღეს უკვე რუსეთმა მიიღო, ასე ვთქვათ, გადაწყვეტილება და გამომდინარე იქიდან, რომ ისინი სამაჩაბლოს რეგიონში ვერ აკონტროლებენ სიტუაციას, ახლა ძირითად დარტყმებს ახორციელებენ გორში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მე მინდა ასევე მივუსამძიმრო იმ რუსი ოფიცრების ოჯახებს, რომლებიც დაიღუპნენ გუშინ არასამართლიან და გაურკვეველ ომში და რუსეთის საზოგადოებას მინდა მივმართო, რომ აღუდგეს რუსეთის ხელისუფლებას, რუსი დედები რომ ტყუილად ნუ დაღუპავენ თავიანთ შვილებს. საქართველო არის მებრძოლი ერი, ჩვენ ვიდგებით სისხლის ბოლო წვეთამდე, მაგრამ ისინი გაუაზრებელ ომში ნუ დახოცავენ თავიანთ შვილებს. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე.</u> გმადლობთ. მე–2, შემდეგ 1–ლი.

<u>შ.მალაშხია.</u> პატივცემულო კოლეგებო. დღეს, ალბათ, ეს დღე ჩვენთვის ყველაზე მძიმეა, მაგრამ უახლოეს მომავალში ეს იქნება, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი დღე, რადგან ჩვენ ვღებულობთ ყველანი ერთად პარლამენტი, მთავრობა, საზოგადოება ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენს შვილებს, ჩვენს შვილიშვილებს რეალურად დაანახებს თუ რა ხდებოდა ამ პერიოდში და როგორ იქცეოდა ყოველი, თითოეული ჩვენთაგანი. ამ გაღიზიანების მიზეზი რუსების მხრიდან რეალურად არსებობს იმიტომ, რომ 16 წლის, 17 წლის განმავლობაში ისინი ცხინვალის რეგიონში კრიმინალურ სტრუქტურას აშენებდნენ, უამრავი თანხა ჩადეს და ეგონათ, რომ ეს ტერიტორია მათი იყო მაგრამ საქართველოს სტრუქტურებმა, სამხედრო სტრუქტურებმა ეს მითი ერთ დღეში გააბათილეს. ცხადია ამაზე გაღიზიანებულია მთლიანად რუსეთი, რომელსაც დაახლოებით მილიონნახევრიანი ჯარი ჰყავს და რეალურად ხედავს თუ რა შეუძლია პატარა სახელმწიფოს, როდესაც ის მობილიზებულია ან მოტივირებულია მის მხარეზეა სიმართლე და მის მხარეზეა საერთაშორისო სამართალი, მაგრამ ამდაგვარი მომენტებიც ახსდოვს ისტორიას. ფინეთმა სწორედ ამდაგვარი თავისუფლებისათვის ბრძოლის გამო მხოლოდ ერთმა გენერალმა მოახერხა მთელი ფინეთის დამოუკიდებლობის დაცვა და ასეთი გენერლები ჩვენ რამოდენიმე გვყავდა 18–21–იან წლებში, მაგრამ ხელისუფლების ერთიანობა არ იყო, საზოგადოებაში ერთიანობა არ იყო და მაშინ 70 წლით გადაიდო ჩვენი დამოუკიდებლობა, მაგრამ დღეს ყველა სტრუქტურა, პარლამენტი, მთავრობა, საზოგადოება, სამხედრო სტრუქტურები აჩვენებენ რეალურ შესაძლებლობას და რეალურ მაგალითს, რომ საქართველოს შესწევს უნარი ის იყოს არამარტო თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა, არამედ ის

იყოს წამყვანი ქვეყანა მთელი კავკასიის მასშტაბით. ჩვენი დღევანდელი თავისუფლება დაედება საფუძვლად არამარტო ამიერ კავკასიის, არა პერსპექტივაში, ჩრდილო კავკასიის თავისუფლებასაც და დღეს ჩვენ მთელი მსოფლიო შემოგვყურებს როგორი იქნება გადაწყვეტილებები და ქმედებები აქ ჩვენთან. და მთავარი არის ის, რომ ნებისმიერი მდგომარეობაში, ნებისმიერი გადაწყვეტილება და ნებისმიერი ქმედებები ჩვენ უნდა მივიღოთ და როდესაც ნახავს საერთაშრისო საზოგადოება, რომ ჩვენ ერთიანი ვართ, ჩვენი სწრაფვა არის მოტივირებული მხოლოდ მაშინ გვექნება საერთაშორისო მხარდაჭერა და ამ საერთაშორისო მხარდაჭერას თქვენ ხედავთ რეალურად ვღებულობთ და ამას, ეს ამ მიმართულებით გაგრძელდება კიდევაც. რეალურად გამოჩნდა, არ არსებობს კონფლიქტი, ჩვენ ვამბობდით, ქართულ–ოსური, ქართულ–აფხაზური, ეს არის კონფლიქტი რუსეთ–საქართველოს შორის, ეს არის ომი, ეს არის სამამულო ომი და ასე მოტივირებულმა ერმა არ შეიძლება ეს ომი რომ წააგოს.

უფრო მეტიც, მცირერიცხოვანი, 600 ათასიანმა ჩეჩნებმა რუსები დააჩოქეს და ის არმია კრახს განიცდიდა რომ არა შემდეგ უკვე შიგნით დაწყებული გაუგებრობები თითქმის დამოუკიდებლობამდე მივიდა ეს ერი.

მე მაშინ მილაპარაკია ჩეჩნებთან და ისინიც ომის დაწყების წინ ამბობდნენ, ძაან საშიში სიტუაცია იყო და დუდაევი გვიხსნიდა ჩვენ, რომ ეს ტანკები სხვა არაფერია თუ არა ასანთის კოლოფები. ნახეთ ისინი როგორ ფეთქდებიან, როდესაც მოტივაცია არსებობსო. და როდესაც ჩვენ დავიწყეთ ტანკების განადგურებაო, მაშინ რეალურად გამოჩნდა, რომ ჩვენი მოტივაცია და ჩვენი მისწრაფებები საკმაოდ რეალური იყო და ჩვენ დამოუკიდებლობისთვის სერიოზულ ნაბიჯებს ვდგამდით და ვიმარჯვებდითო. ანუ, ამის მაგალითიც უახლოესი, ჩვენ გვაქვს და მაინც, უნდა ამოვიდეთ ჩვენი პირადი მაგალითიდან.

ჩვენი პირადი მაგალითი არის ეს ჩვენი სამხედროები, რომლებიც ისეთი შემართებით იცავენ ცხინვალს, რომ ასეთი შემართება მტერსაც შეშურდებოდა და ამან მიიყვანა რუსეთი ასეთ შიზოიდურ მდგომარეობამდე. პრაქტიკულად, ის გაუმართლებლად, შიზოიდურად იქცევა. ეს მისი ქმედებები არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება და ამ შედეგებიდან ჩვენ ის მივიღეთ, რომ როდესაც ამ პროცესებს უახლოეს ხანში ჩვენ დავამთავრებთ აქ სამშვიდობო პროცესებზე რუსეთის მხრიდან წარმართულზე ან ა.შ. გამორიცხული იქნება საუბარი და ჩვენ რომ გვეგონა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის უფრო მეტი დრო დაგვჭირდებოდა ეს დრო სწორედ ამ მსხვერპლის გამო, რომელიც დღეს გაიღო საქართველომ უფრო შემცირდება და საქართველოს სახელმწიფო

უფრო აყვავდება უახლოეს ხანში, ვიდრე ჩვენ ამას ველოდით დროში გაწელილს.

და კიდევ ერთიც, არ შემიძლია არ ვთქვა, ამ პერიოდში, როდესაც ასე ღია აგრესია მიდის, ინტერვენცია, სამამულო ომია გამართული საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთი ასეთ შიზოიდურ ქმედებებს ახორციელებს მისი პრემიერისა და პრეზიდენტის უშუალო მონაწილეობით ამ დროს პეკინში იმართება ოლიმპიადა და მე ერთი შემიძლია ვთქვა, რომ არ შეიძლება ამ ოლიმპიადაზე მონაწილეობას ღებულობდეს რუსეთი. ეს არის ღირებულებით სისტემა, ამ ღირებულებით სისტემაში ერთიანია მთელი მსოფლიო და აქ რუსეთი არის, ფაქტიურად, ამოვარდნილი. ამიტომ, მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა დააყენოს საკითხი, რომ რუსეთის დელეგაცია დათხოვნილი იქნას ჩინეთის ოლიმპიადიდან როგორც სამარცხვინო სახელმწიფოს დელეგაცია და თუ ასეთი პროცესები არ განხორციელდა, მაშინ ჩვენმა დელეგაციამ უნდა მიიღოს სათანადო დასკვნები და გადაწყვეტილებები ამ ოლიმპიადაში მონაწილეობისთან დაკავშირებით. დიდი მადლობა ყველას ასეთი შემართებისთვის, ასეთი ერთიანობისთვის და მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ გავიმარჯვებთ და ასევე უნდა ითქვას ის, რომ ეს პარლამენტი, მისი ხერხემალი არის სწორედ ის იუნკრები, რომლებიც დაიხოცნენ დამოუკიდებლობისთვის და ამ პარლამენტს სხვა უფლება არა აქვს, რომ არ მიიღოს ის გადაწყვეტილებები, რომელსაც მოითხოვს საქართველოს მოსახლეობა და ქართველი ერი. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე</u>. გმადლობთ. პირველი. შემდეგ მე–3.

<u>პ.კუბლაშვილი.</u>მოგესალმებით, კოლეგებო. ძალიან ბევრი ითქვა უკვე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, ალბათ, გამეორება, შეიძლება, საჭიროც არ იყოს. უბრალოდ, მე მინდა რამოდენიმე სიტყვით ჩემი განცდა, ჩემი განწყობები გადმოგცეთ, რაც რამოდენიმე დღის განმავლობაში შეიძლება განიცადოს ადამიანმა. მე გუშინ მქონდა საშუალება, რომ მთელი დღის განმავლობაში, ფაქტიურად, ვიყავი ვაზიანში, სადაც იკრიბებოდნენ ჩვენი რეზერვისტები. მე ვნახე ჩემი თვალით 8 000 რეზერვისტი, რომელიც იყო ძალიან კარგად მომზადებული და რაც მთავარია, რომელიც იყო ძალიან კარგად მოტივირებული. მე ამ ადამიანების თვალებში ვნახე ის ძალა და ვნახე ის თავდადება, რაც აუცილებელია დღეს ქვეყნისათვის. მე ვნახე ის, რაც ამ ქვეყანას დააყენებს ფეხზე და ჩამოაყალიბებს ნამდვილ სახელმწიფოდ. მე იმავდროულად ღამით უკვე მქონდა საშუალება, რომ შევხვედროდი და გავსაუბრებოდი იმ ადამიანებს, ვინც შეიკრიბა რუსეთის საელჩოსთან და მშვიდობიანი აქცია გამართა ამ ქვეყნის საელჩოს წინ ამ

ხალხის განწყობაც იყო, მართლაც, კიდევ ერთი მაგალითი გმირობის. ჩვენ რამოდენიმე დღეა უკვე, ფაქტიურად, ყველგან ვაწყდებით გმირობის მაგალითებს. პირველ რიგში, ეს დაიწყო, რა თქმა უნდა, ჩვენი სამხედრო შენაერთების გმირობით, მერე ჩვენი რეზერვისტების განწყობებით, იმ ხალხის დამოკიდებულებით, რომლებიც იდგნენ რუსეთის საელჩოსთან და რაც მთავარია თითოეულ ადამიანში ანალოგიური განწყობაა და ამას ვხედავთ თითოეული ჩვენთაგანი ყოველდღიურად. ყველას, არცერთ ქართველს, არცერთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს არცერთი წუთით არ გაუვლია გულში აზრად, რომ , თავში აზრად, რომ რაღაც სხვა შეიძლება ხდებოდეს ამ ქვეყანაში. ეს ქვეყანა ჩამოყალიბდება ნამდვილ სახელმწიფოდ. ჩვენ დღეს გვაქვს სწორედ ის პერიოდი, როდესაც იქმნება სახელმწიფო ჩვენ თვალწინ და ყველა ის ადამიანი, რომელიც არის რეზერვში, რომელიც ცხოვრობს დღეს საქართველოში, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა, არის არა მხოლოდ გმირობის მოწმე არამედ აი ამ გმირობის მონაწილე. დღეს ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც არასდროს დგას დრო, რომელზეც ყველაზე კარგად, ალბათ, ორი სიტყვით შიძლება ითქვას და ეს ორი სიტყვა არის გამოხატული ჩვენ გერბზე, ეს არის ორი სიტყვა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია – ძალა არის ერთობაში და ამ ერთობით ჩვენი ქვეყანა აუცილებლად გაიმარჯვებს. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე</u>. გმადლობთ, პირველი, შემდეგ მე–5.ბატონო კაკო, თქვენ პირველ მიკროფონთან ბრძანდებოდით ჩაწერილი და ამიტომ...

<u>ა.ბობოხიძე.</u>გმადლობთ. მე მინდა წინასწარ დავაფიქსირო, რომ ის, რასაც მე ვიტყვი ეს არის ჩემი პირადი მოსაზრება. მე მიმაჩნია, რომ დღეს რუსული და ქართული სახელმწიფოების ინტერესების თანხვედრა არის შეუძლებელი ორი მარტივი მიზეზის გამო. ერთი, რომ ჩვენ ვისწრაფით ნატოსაკენ და მეორე, საქართველოს ტერიტორია, პრაქტიკულად, არის ერთადერთი ალტერნატივა რუსეთის ტერიტორიაზე გამავალი საკომუნიკაციო საშუალებებისა. იქნება ეს ნავთობსადენები, გაზსადენები, სარკინიგზო, საჰაერო თუ სხვადასხვა გზები.

პირველ საკითხთან დაკავშირებით და მიმაჩნია, რომ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შეფერხდეს ჩვენი ნატოში გაწევრიანება და ალბათ, დღეს, ევროპის სახელმწიფოების რამდენიმე მეთაური ბედნიერია იმითი, რომ კიდევ ერთი მიზეზი მიეცათ საქართველოსათვის დეკემბერში მაპის მიცემისათვის უარის სათქმელად. მე ვიტყოდი, რომ მეორდება 1921 წლის ისტორია, როდესაც ევროპამ მიატოვა საქართველო კომუნისტურ რუსეთთან. დღეს ჩვენ გვაქვს საქმე კომუნისტურ და ფაშისტურ რუსეთთან გაერთიანებულთან იმიტომ, რომ

მათი მოქმედებები ერთი ერთზე თანხმდება იმას, რაც გააკეთა 21 წელს კომუნისტურმა რუსეთმა. შულავერის მთავრობას დაუჭირა მხარი. ერთი ერთზე ემთხვევა იმას, რასაც აკეთებდა ფაშისტური გერმანია, როდესაც გამოაცხადა სხვა ქვეყნის, გერმანელი მოქალაქეები თავის მოქალაქეებად და მათი დაცვის საბაბით შეიჭრა შესაბამის სახელმწიფოებში. ევროპა მიეჩვია იმას, რომ აღმოსავლეთიდან წამოსული საფრთხეები იმსხვრეოდა სამხრეთით საქართველოზე, ხოლო ჩრდოლოეთით პოლონეთზე, ბალტიისა და დიდი – დიდი ბულგარეთის სახელმწიფოებზე. დღეს ევროპა ვერ აცნობიერებს იმ საფრთხეს, ან არ უნდა გააცნობიეროს ის საფრთხე, რომელიც მათ ელოდება საბჭოთა რუსეთისაგან. ევროპა, სამწუხაროდ, საქართველოში და დღევანდელი მსოფლიო, როგორც ვხედავ, საქართველოში ხედავს მხოლოდ ალტერნატიულ გზას ნავთობსადენისა თუ სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებისა. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად უნდა მიმართოს სამ სუბიექტს. თუმცა, მე არა მაქვს იმედი და არ ვიცი, რა შედეგი მოჰყვება ამ მიმართვებს, მაგრამ ჩვენ ეს, ალბათ, უნდა გავაკეთოთ. ეს არის ნატო, ეს არის ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის მხრიდანაც, მე პირადად, ყველაზე დიდი იმედი მაქვს, რომ მარტო არ დაგვტოვებენ და ეს არის თურქეთი. კეთილი ინებონ, კეთილი ინებონ, ცოტა ის არ არის, რა ჰქვია, პირდაპირ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი თხოვნა უნდა იყოს, რომ საქართველომ, რომ მათ აიყვანონ საქართველო სამხედრო მხარდაჭერის ქვეშ. მე არ ვიცი, რა მოჰყვება ჩვენს ამ მოთხოვნას. მინიმუმ, პორტები შეიძლება ავიდეს საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მხრიდან ამ საკითხის დაყენება არის აუცილებელი. მე ქალაქში უკვე მესმის, რომ თუ არ გვქონდა საჰაერო თავდაცვის საშუალებები, რატომ დავიწყეთ და რატომ ჩავებით კომპლიქტში. მე ვაცხადებ, რომ ჩვენ საჰაერო თავდაცის საშუალებები გვაქვს, ჩამოგდებულია 10 საფრენი აპარატი, მაგრამ რუსებს არ დაელევა თვითფრინავი და ჩვენ ვერ გვექნება იმდენი ჰაერსაწინააღმდეგო საშუალება, რომ ჩვენ ყველა რუსული თვითმფრინავი გავანადგუროთ, რომელიც კი საქართველოს ტერიტორიაზე შემოფრინდება. ამიტომ მე მიმაჩნია , რომ ეს 3 სუბიექტი სასწრაფოდ უნდა იქნას მოთხოვნა დაყენებული საქართველოსთვის სამხედრო მხარდაჭერის გამოსახატავად. რა იქნება, რა არ იქნება ეს შემდეგ გამოჩნდება, ყოველ შემთხვევაში, მე იმედი მაქვს, რომ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ მიხვდება ვიღაცა, რომ საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც იბრძოლებს მხოლოდ სხვისი სატრანზიტო იმედებისა და სატრანზიტო გეგმების განხორციელებისათვის. ჩვენ არ გვჭირდება ტრანზიტიდან შემოსული რამდენიმე მილიონი, ჩვენ ამისთვისთვის არ ვიბრძოლებთ, ჩვენ

ვიბრძოლებთ ჩვენი ქვეყნის მთლიანობისთვის და თუ საქართველო უნდათ ვნახოთ, რამდენად უღირთ მსოფლიოს რამდენად უღირს დასავლეთის თანამეგობრობას საქართველო და მისი ტერიტორია, უღირს თუ არა იმათ , რომ მათ ქმედითი ღონისძიებები გაატარონ საქართველოს რეალური მხარდაჭერისათვის. თუ დავრჩებით მხოლოდ ხმამაღალი განცხადებების იმედად და ხმამაღალი განცხადებების ამარა, მე მეშინია, რომ დასავლეთი ელოდება, მე ვგულისხმობ პირველ რიგში ევროპას, ელოდება სტატუსკვოს აღდგენას, როდის დაიკავებენ რუსები კვლავ ცხინვალს და ამის შემდეგ ჩაერევიან აქტიურად ვითომ დიპლომატიურ დონეზე, რათა შეჩერებულ იქნას რუსული აგრესია, ეს მე მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანას არ ეყოფა და მე პირადად თუ ჩვენ არ გვექნება რეალური მხარდაჭერა , მე მოვუწოდებ ქართველ ხალხს, რეალური მხარდაჭერის არაღმოჩენის შემთხვევაში, ბარებით და ნიჩბებით მივადგეთ და ჩვენ თვითონ ამოვთხაროთ ის გაზსადენები, იმიტომ რომ კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ მზადა ვართ ვიკისროთ სატრაზინტო ფუნქცია, ჩვენ მზადა ვართ ვიკისროთ დერეფნის როლი, ჩვენ მზადა ვართ დავიცვათ ეს დერეფანი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება საქართველოს სახელმწიფო ინტერესები. ჩემი განწყობა პირადად არის ასეთი, რას გადაწონის ჩემი პირადი განწყობა , ეს მე ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ მე პირადად ვაცხადებ ახლავე, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მხოლოდ დასავლეთის მხრიდან ექნება მხოლოდ განცხადებების დონეზე მხარდაჭერა, მე ამის შემდეგ აი ამ ბრძოლების ამ ომების დამთავრების შემდეგ როგორადაც არ უნდა დამთავრდეს იქ, ვიქნები ერთერთი ყველაზე ანტიდასავლური მონაწილე ამ პარლამენტისა. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე.</u> გმადლობთ. ბატონო კაკო, მე მინდა უბრალოდ დეპუტატების ინფორმაციისთვის და ამაზე პრეზიდენტმაც ისაუბრა, მართლაც ძალიან აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკებების სტატია მიმდინარეობს ახლა არის ძალიან ინტენსიური მოლაპარაკებები პირველი პირების დონეზე, პრეზიდენტი არის უშუალო კონტაქტში სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურებთან, მიმდინარეობს მოლაპარაკებები საგარეო მინისტრის მხრიდანაც, პარლამენტის მონაწილეობითაც, ამიტომ მე ნამდვილად იმედი მაქვს, რომ ყველა ეს ძალიან ინტენსიური მოლაპარაკება და კონსულტაცია თავის შედეგს გამოიღებს და ჩვენ არ დაგვჭირდება გიხილოთ თქვენ დასავლეთის მოწინააღმდეგეების რიგებში. მე ნამდვილად იმედი მაქვს, რომ საბოლოო ჯამში დასავლეთის დიპლომატია თავის სათქმელს იტყვის. მე–3, შემდეგ მე–5. უკაცრავად, მე–5, შემდეგ მე–3.

<u>პ.დავითაია</u>. დიდი მადლობა. მართლაც ნათელი გახდა უკვე, რომ ჩვენ არ გვაქვს საქმე სეპარატისტებთან, ჩვენ არ გვაქვს საქმე შიდა მტრებთან. საქმე არის გარე მტერთან და ეს არის რუსეთი და ფაქტიურად რუსეთი ახორციელებს ანექსიას საქართველოს ტერიტორიის, ეხება ქვეყნის სუვერენიტეტს და ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვას და საერთაშორისო არენაზე უნდა იყოს თქმული და ძალიან სწორი არის, რომ დღეს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოცხადდა საომარი მდგომარეობა, რომ ჩვენ ვართ საომარ მდგომარეობაში რუსეთთან.

მე მინდა ვთქვა, რომ რასაც მე ვხედავ ამ 15 წლის განმავლობაში, ის გამოცდილება, რაც ვნახე აფხაზეთში, რასაც აკეთებდნენ სეპარატისტები, ეს არ დაწყებულა ერთ დღეს, ეს მიდიოდა მიზანმიმართულად ყველაფერი, მისხალ–მისხალ სეპარატისტები რუსეთის სპეცსამსახურებთან ერთად აკეთებდნენ ყველაფერს იმისათვის, რათა დამდგარიყო ეს დღე, რათა ხელი შეშლოდა სახელმწიფოს განვითარებას, რათა სახელმწიფო არ დამდგარიყო ფეხზე და ჩვენ არ დაგვეწყო ინტეგრაცია ნატოს სტრუქტურებისკენ. დღეს ის, რაც ხდება ეს არის ღია მაგალითი, ღია გამოძახება მსოფლიოსათვის, რომ რუსეთი არ ცნობს საერთაშორისო სამართალს, რუსეთი არ ცნობს ქვეყნის სუვერენიტეტს საქართველოსი და ყველაფერს აკეთებს ამ ქვეყნის დასაპყრობად. აქედან გამომდინარე, მე მინდა მივმართო საქართველოს მოსახლეობას, და არაერთხელ გაიჟღერა ჩემი კოლეგებისგან ამ დარბაზში, რომ საჭირო არის სრული მობილიზირება, საჭიროა ყველას ერთად დგომა. რეალურად ჩვენ დღეს თუ ერთად არ დავდექით ჩვენი სახელმწიფო არ აირსებებს. არანაირი დათმობა არ უნდა იყოს სეპარატისტებზე, არანაირი დათმობა არ უნდა იყოს რუსეთისათვის. ჩვენი გამარჯვების საწინდარი არის ჩვენი ერთად დგომა. ჩვენი გამარჯვება გარდაუვალია. გარდაუვალი არის იმიტომ, რომ სიმართლე ჩვენ მხარესაა. მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოს და ამისათვის, ალბათ, პარლამენტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს და არის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, ბტონი ლაშა ყველაფერს აკეთებს ამისათვის, რომ ვაჩვენოთ მთელ მსოფლიოს, რომ დარტყმა ყენდება არა საჯარისო ფორმირებებზე, არამედ დარტყმა ყენდება მშვიდობიან მოსახლეობაზე, რაც არის ყოვლად მიუღებელი, რომ ბომბავენ მშვიდობიან მოსახლეობას, მშვიდობიანი მოსახლეობა არის საფრთხის ქვეშ. ამაზე ძლიერი არგუმენტი რუსეთის საწინააღმდეგოდ ჩვენ არ გვაქვს. არც ჰაერსაწინააღმდეგო აპარატები თუ თვითმფრინავები თუ ჯარი არგუმენტი არ არის, არგუმენტი არის ის, რომ რუსეთი არა სეპარატისტულ რეგიონში ახორციელებს დარტყმებს, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ჩვენ, ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება მზად არის იმისათვის, რომ იარაღით ხელში დადგეს ქვეყნის დასაცავად და ყველას ვალი არის, მე მგონი, ყველა მამაკაცის ვინც საქართველოს ტერიტორიაზე

დღეს იმყოფება და ვინც არის საქართველოს მოქალაქე დადგეს ერთად და ჩვენ დღეს არ ვუდგევართ ხელისუფლება, ჩვენ არ ვუდგევართ ვთქვათ რაღაც იდეალებს. ჩვენ ვუდგევართ ჩვენს სამშობლოს და . . . ხელისუფლება და სამშობლო არის ერთიანი. ერთიანი იმისათვის, რომ ჩვენ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე.</u> გმადლობთ. მე–3.

<u>დ.დარჩიაშვილი.</u> დღეს საქართველოს შვილებმა მსხვერპლი გაიღეს სამშობლოსათვის და ჩვენ ყველანი ერთად ამ დარბაზში ქედს ვიხრით ამ მსხვერპლის წინაშე. დღეს ჩვენ ამ დარბაზში არაფერი არა გვაქვს ერთმანეთისათვის დასასაბუთებელი ამ საკითხში და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ეს საწინდარი არის ჩვენი ერთიანობის, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვსაუბრობთ, ჩვენ ერთხმაში ვსაუბრობთ იმიტომ, რომ ბევრი დაგროვდა სათქმელი ამ დღეებში და ჩვენ მივმართავთ არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ ჩვენს საზოგადოებას იმავე საერთაშორისო თანამეგობრობას. მე მინდა ვთქვა, რომ წლების მანძილზე სავსებით მართებულად საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მაქსიმალური დიპლომატიური ყოფილიყო რუს სამშვიდობო ძალებთან და აი ამ სამშვიდობო ფორმატებთან დაკავშირებით. აკრიტიკებდა რა პრინციპულად, ითხოვდა რა ამ ფორმატის შეცვლას მავანი და მავანი ამაში მაინც ზედმეტ დიპლომატიას ხედავდა და უფრო გადამჭრელ ზომებს ითხოვდა, მაგრამ დიპლომატიის გარეშე სახელმწიფოები არ ურთიერთობენ, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება ეს ყოველგვარ ზღვარს და, ასე ვთქვათ, დიპლომატიის შესაძლებლობებს გასცდა. მე შემიძლია ვაღიარო გარკვეული გულუბრყვილობა. ჩემი პროფესიით, პირველი პროფესიით ვარ ისტორიკოსი და ვმუშაობდი რუსეთის ისტორიაზე XIX საუკუნეზე და გულუბრყვილობა იმაშია, რომ არანაირად არ მეგონა, რომ ის, რაც ხდებოდა XIX საუკუნეში და მინდა ვთქვა, რომ ალექსანდრე პირველს, იმპერატორს რომელიც ცნობილია საქართველოს ანექსირებით. მეტ სახელად ჰქონდა მშვიდობისმყოფელი და მე უბრალოდ არ მეგონა, რომ აი იმ დროინდელი გაგება რუსული მშვიდობისმყოფელობისა ზუსტად ასე განმეორდებოდა XXI საუკუნეში. დღეს რუსეთი ამას არ ეძახის ომს. ჩვენ სხვა გზა არ დაგვიტოვა, თუ არა დავარქვათ მოვლენებს ომი და გამოვაცხადოთ საომარი მდგომარეობა. რუსეთი კი ამას ცინიკურად ისევ მშვიდობისმყოფელობას და სამშვიდობო ოპერაციას ეძახის. ეს უნდა გავაგებინოთ მსოფლიოს, რომელშიც მე ვეთანხმები იგივე ბატონ აკაკის, რომ ძალიან ბევრს არ სურს, არაკომფორტულია ამისი გაგება, მაგრამ დღეს ისე დადგა საკითხი, რომ ამას მთელი მსოფლიო გაიგებს და

დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი დაწყებულია და ამას აუცილებლად მოჰყვება შედეგი. ჩვენი მხრიდან დღეს რაც გამოვაცხადეთ ეს ნიშნავს, რომ ყველანი ვიქცევით ჯარისკაცებად, მთელი მოსახლეობა საქართველოსი, მთელი სამოქალაქო ერი საქართველოსი. ეს არ ნიშნავს, რომ ყველამ ავტომატი უნდა აიღოს და ყველამ ისროლოს. ავტომატის აღებას და სროლას და იარაღის გამოყენებას პროფესიონალიზმი სჭირდება, მაგრამ ჯარისკაცობა ნიშნავს უმაღლესი დონის პასუხისმგებლობას და უმაღლესი დონის ორგანიზებულებულობას. დღეს აქ ბევრი ითქვა, რომ როგორც არასოდეს ისეთი ერთიანია ქართული საზოგადოება, ისეთი მაღალია მორალი. ერთი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენ იმავე ევროპელებს დავანახოთ, რომ ჩვენ ევროპელობა არ გვინდა მხოლოდ რაღაცა ასე ვთქვათ, მერკანტელური ინტერესისათვის, რომ ჩვენი შინაგანი მგომარეობა იყო ყოველთვის, ეს არის მაღალი დონის ორგანიზებულობა. ყველა დონეზე, უბნიდან დაწყებული და უმაღლესი საერთო ეროვნული ინსტიტუტებიდან დამთავრებული, მაღალი ორგანიზებულობა, რაც არის საჩვენებელი ამ დღეებში, ეს იქნება ნიადაგი, რომ მსოფლიო უკანმოუხადავად იდგეს ყველა იმ ფორმით, რაც ადვეკატურია შექმნილი ვითარებისა ჩვენს გვერდით და ეს აუცილებლად მოიტანს შედეგს. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე.</u> გმადლობთ. მე–4 , შემდეგ მე–5.

<u>გ.თორთლაძე.</u>დიდი მადლობა. მე წინა გამოსვლაში უკვე მოგახსენეთ ჩემი სულისკვეთება და საერთოდ ზოგადი შეხედულება, მაგრამ მე მინდა პატარა დეტალზე, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. ბოლო პერიოდში, ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში რუსეთიდან მუდმივად გვესმის და განსაკუთრებით ბოლო დღეებში, რომ ისინი იცავენ თავიანთ მოქალაქეებს საქართველოში, ისინი იცავენ თავიანთი მოქალაქეების ინტერესებს და სიცოცხლეს საქართველოში და მუდმივად აპელირებენ ამაზე, საქმე იქამდე მივიდა რომ გუშინწინ მოვისმინე უცხოურ არხზე ასეთივე ინტერპრეტაცია, რომ რუსეთი იცავს თავიანთ მოქალაქეებს საქართველოში, მე მინდა შეგახსენოთ და იქნებ ვისარგებლო შემთხვევით, ახლა მე ვიცი, რომ ჩვენი რეგლამენტი საკმაოდ შეზღუდულია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იქნებ ვთხოვოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ჩვენ ან პარლამენტმა ან საგარეო საქმეთა სამინისტრომ მივიღოთ ასეთი ტიპის დადგენილება, ვინაიდან საქართველო ისევე როგორც რუსეთს არ გააჩნია ორმაგი მოქალაქეობა მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისა, ნებისმიერი მოქალაქე, ეს იქნება სამხედრო პირი, თუ მშვიდობიანი პირი, რომელიც

იმყოფება საქართველოში რუსეთის პასპორტით და მას არა აქვს აღებული და გადაკვეთილი გამშვები საკონტროლო პუნქტი, ის იმყოფება არალეგალურად და ნებიემიერი ასეთი ადამიანი საქართველოში არის არალეგალი და არალეგალების დასაცავად არის ახლა შემოსული ვითომდა რუსეთის არმია. იქნებ მომზადდეს რაღაც განსაკუთრებული განცხადება იქნება ეს ნოტა იქნება, იმასთან ერთად რაც მზადდება , რომ რუსეთმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიიდან არალეგალურად მყოფი მათი მოქალაქეები იმიტომ, რომ ის ჯარისკაცები, რომლებიც აქ არიან მშვიდობისმყოფელების მანდატს არ ვგულისხმობ, სხვა ჯარისკაცებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, რეგულარული არმიის შენაერთებს და ის მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს რუსეთის მოქალაქეობა, მათ ავტომატურად დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა, ამიტომ ისინი არიან არალეგალურად საქართველოს ტერიტორიაზე და თუ მათ, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, უნდათ მათი დაცვა, კი ბატონო, გაიყვანონ თავიანთი მოქალაქეები, რომლებიც არალეგალურად და კანონდარღვევით არიან ჩვენს ტერიტორიაზე. იქნებ ვთხოვოთ და რაღაც გვიშუამდგომლოთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ასეთი ნოტა გაიგზავნოს ან რაღაც დადგენილებასავით მომზადდეს, არ ვიცი. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე.</u> გმადლობთ. მე–5 შემდეგ 1–ლი.

<u>ჯ.ბაღათურია.</u> პირველ რიგში, მე მინდა ღრმა მწუხარება გამოვთქვა იმ დაღუპულთა გამო, რაც ჩვენ დღეს გვაქვს, ორთავე მხარეს, მინდა სხვათა შორის. მინდა ყველა ოსურ და ყველა ქართულ ოჯახს მივუსამძიმრო იმის გამო, რომ მათ დაკარგეს ოჯახის წევრები. დაიღუპა სრულიად უდანაშაულო ადამიანები, მაგრამ რას იზამ, ომი ასეთია. ომი მძიმეა და ომს სწორედ ასეთი შედეგები მოაქვს. ეხლა მე მინდა, ბატონო დავით, ვთქვა, რომ ეს ომი ჩვენ თაობას მოახვიეს თავს და ჩვენი თაობის დროს დაიწყო. სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომი ჩვენს დროს დაიწყო და მე ამ ომის მონაწილე და ამ ომის ვეტერანი ვარ და ვიცი, პრაქტიკაში ვიცი ომის მიმდინარეობის ყველა სიმძიმე და ყველა ნიუანსი. ამიტომ, მე მინდა ასეთი მოსაზრება გამოვთქვა. ჩვენი თაობის დიდი ნაწილი, სხვათა შორის, ამ ომებს შეეწირა და გაწყდა, მაგრამ კიდევ კარგი რაოდენობა ვართ დარჩენილები, რომლებსაც შეგვიძლია ეს ომი დავამთავროთ და ბოლომდე მივიყვანოთ. ამიტომ, თქვენ მხარდაჭერას, ბატონო დავით, განსაკუთრებით თქვენსას და ყველა ჩემი კოლეგისას მოვითხოვ. ვიცი, რომ ახალწვეულები არა გყავთ შეყვანილი და ეს ძალიან კარგია. მივესალმები იმას, რომ ერაყიდან გამოგყავთ გამოცდილი კონტრაქტორები

და ესეც ძალიან კარგია და მინდა მოგიწოდოთ, რომ შვილები აღარ შევიყვანოთ. მამების თაობამ დავამთავროთ ჩვენ მიერ წამოწყებული ომი. ჩვენს დროს დაწყებული ომი თავს მოხვეული იყო, ჩვენი შეცდომით იყო, ვისი შეცდომით იყო, ეხლა ამაზე ლაპარაკით თავს არ მოგაწყენთ. დაბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, მადლობელო ვარ ყველა ქვეყნის პრეზიდენტის თუ კონგრესმენის თუ კანდიდატის საპრეზიდენტოსი, პრეს–კონფერენციები რომ ჩაატარეს და დაგმეს მიმდინარე პროცესები, მაგრამ მინდა ყოველგვარი რევერანსების გარეშე ვთქვა, ამერიკელებმაც, ევროპელებმაც, მთელმა მსოფლიომ, ძალიან კარგად იცის რა სჭირდება ომს. მინდა ვთქვა, რომ ეს ომი არ არის რუსეთ–საქართვრლოს ომი. ეს არის რუსეთისა და ნატოს ომი. ეს არის შეერთებული შტატების და რუსეთის ომი საქართველოს ტერიტორიაზე. ეს არის გეოპილიტიკურ ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც დღეს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ამიტომ ჩვენ, მე ვიცი ჩემმა კოლეგამ, კაკო ბობოხიძემ ეტყობა ის მწარე გამოცდილება გაახსენდა და მის პათოსს ვიზიარებ, რაც ჩვენ გვქონდა ეროვნული მოძრაობის დროს და ამიტომ მინდა ვთქვა, რომ ომს იგებს არა განცხადებები და პრესკონფერენციები, თორემ აგერ განცხადებებს ჩვენც ვაკეთებთ, არამედ ფული, იარაღი ტექნიკა და კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები და თუ ვინმე ჩვენმი მეგობარია, მოვუწოდებ, კატეგორიულად მოვითხოვ გადადგას კონკრეტული ნაბიჯები. ჩვენ დღეს გვჭირდება ბევრი ფული, პირდაპირ ვამბობ და იარაღი და ტექნიაკა. დანარჩენს ჩვენ გასაკეთებელს ჩვენ გავაკეთებთ და ბატონო დავით, ძალიან გონიერი კაცი ბრძანდებით და მე ვიცი ეხლა, არც გაკადრებთ რჩევას,უბრალოდ, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, ომის პარალელურად მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს დიპლომატიის ხარისხი, მაქსიმალურად. ჰიტლერი და სტალინი, ჰიტლერი და რუზველტი და ჩერჩილი ერთმანეთში ლაპარაკობდნენ და არც ერთი არ არის ჰიტლერი და არც სტალინი, არც ერთს არ ვადარებ. აუცილებელი, ჩვენ, ეხლა, რაღაც ბავშვს, „გავიბუტეთ“ პოზიციაში არ ვიქნები და რაღაც უხერხულობები, ხელისუფლებას, თქვენ, პრეზიდენტს, პრემიერ–მინისტრს არ უნდა შეგექმნათ. მაქსიმალურად მაღალი ხარისხის დიპლომატია, რომ როგორმე ჩვენ მოვასწროთ და 15 დღის ვადაში დავასრულოთ სწორედ ეს ომი. დიდი მადლობა. დიდება და მადლობა ღმერთს, მშვიდობა, წყალობა და გამარჯვება ყველას თქვენ, ჩვენ. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე</u>. გმადლობთ, პირველი, შემდეგ მე–3.

<u>ლ.ჟვანია.</u> გმადლობთ, ბატონო თავმჯდომარევ, პატივცემულო კოლეგებო, ბატონ ჯონდის განცხადებას გამოვეხმაურები. სწორედაც

გუშინაც და დღესაც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი მუდმივად კავშირშია ჩვენს კოლეგებთან სხვადასხვა ქვეყანაში. კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას რაც შეეხება, თავად ამ ქვეყნებშიც არის გარკვეული ძვრები და სერიოზული ძვრები. მათ შორის, ჩვენი კოლეგები მოუწოდებენ თავიანთ აღმასრულებენ ხელისუფლებას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისაკენ და მე მინდა წაგიკითხოთ, მოკლედ წავიკითხავ რამოდენიმე ამონარიდს ჩვენი კოლეგის, კონგრესმენის ქალბატონი ილანა ბენ ლეჰინტენის განცხადებას, რომელიც წუხელ გვიან ღამით გავრცელდა კონგრესიდან. ის გახლავთ კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ქვეკომიტეტეის თავმჯდომარეა. ის აღნიშნავს თავის განცხადებეში, რომ რუსეთის ჯარების შეჭრა საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან გასაკვირი არ არის. წლების განმავლობაში რუსეთის ხელისუფლება აღიარებდა და მხარს უჭერდა სეპარატისტულ მოძრაობებს საქართველოსთან საზღვრის გასწვრივ. ეს რუსეთის მიერ მეზობლების დაშინების კიდევ ერთი მაგალითია და ადასტურებს მისი საგარეო პოლიტიკის მზარდ აგრესიულ ბუნებას. დღევანდელო მოქმედებები რუსეთის მიერ ბირთვული და სარაკეტო ტექნოლოგიების ირანისათვის მიწოდება, ბოლოდროინდელი განცხადებები კუბის დიქტატურასთან სამხედრო ურთიერთობების განახლების შესახებ, ეს რუსეთის მთავრობის მზარდი, რეპრესიული და კორუფციული ბუნება, ეს ყველაფერი მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნას გადახედილი ჩვენი ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. შეერთებული შტატები და ჩვენი მოკავშირეები უნდა დავდგეთ საქართველოს გვარდით გაეროს უშიშროების საბჭოში. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ ე.წ. რუსული სამშვიდობოები გამოყვანილი იქნას საქართველოს ტერიტორიიდან და ჩანაცვლებული იქნას გაეროს ეგიდით მოქმედი საერთაშორისო ძალების მიერ. შეერთებულმა შტატებმა ასევე სასწრაფოდ უნდა უზრუნველყოს კონსულტაციები უკრაინასთან და ნატოს მოკავშირეებთან ბალტიის ზღვის რეგიონში, რათა შეაფასონ უსაფრთხოებისადმი მუქარა რუსეთის მხრიდან. რუსეთის აგრესია ქართველი ხალხის წინააღმდეგ არის კიდევ ერთი მიზეზი ადმინისტრაციისთვის, რათა უარი თქვას ბირთვული თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე.

ეს განცხადება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვართ მარტო ამ სერიოზულ სამხედრო აგრესიის წინაშე. ის ბრძანებულება, პრეზიდენტის, რომელიც გამოცემული იყო, სწორედ განპირობებულია არა იმით, რომ ჩვენ ვუცხადებთ რუსეთს ომს, არამედ ჩვენ ვაწარმოებთ თავდაცვით საომარ მოქმედებებს. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე</u>. გმადლობთ. მე–3.

<u>რ.სამყურაშვილი.</u> გმადლობთ, ბატონო თავმჯდომარევ. პატივცემულო კოლეგებო, ჩვენ, რა თქმა უნდა, შესაძლოა ვიყოთ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მომლოდინე და იმედად, რა თქმა უნდა, ჩვენ ვენდობით ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებს და ჩვენ მეგობარ ქვეყნებს და გვაქვს მათი მხარდაჭერის იმედიც, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი იარაღი და ინსტრუმენტი მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად გახლავთ ჩვენი ერისა და ხალხის კონსოლიდაცია, ჩვენი ერისა და ხალხის ერთიანობა. და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ხალხს გააჩნია ერთიანობისა და კონსოლიდაციის მაღალი ხარისხი მაინც, რუსული საინფორმაციო მანქანა, ერთი მხრივ, მის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციების საშუალებით და მეორე მხრივ, ზოგიერთი პატარა, მაგრამ მაინც, პანიკის კერა არსებობს საქართველოში და მე მინდა საქართველოს საზოგადოებას ვუთხრა, რომ ქართული საინფორმაციო საშუალებები, საქართველოს ხელისუფლება დროულად და სრულად მოახდენს საქართელოს საზოგადოების სწორ და ობიექტურ ინფორმირებას. მე მინდა ვთხოვო ჩვენ საზოგადოებას, რომ ბოლომდე ენდონ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და საქართველოს ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას, რა თქმა უნდა, არ მოატყუებს. საქართველოს ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ამ უმძიმეს ვითარებაში საკუთარ ხალხს არ მიაწვდის არასწორ ინფორმაციას და მე ამას ვამბობ იმიტომ, რომ არაერთი, თქვენც, ალბათ, მოისმენდით არაერთ საუბარს იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს მსხვერპლის რაოდენობა არის სხვაგვარი, თითქოს მდგომარეობა არის სხვაგვარი და ამას მიაღწია რუსულმა საინფორმაციო, დეზინფორმაციულმა, უფრო სწორად მანქანამ, მაგრამ კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო და მოვუწოდო საკუთარ მოსახლეობას, რომ ბოლომდე ენდონ მხოლოდ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას და საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია ძალიან მაღალი ზომის პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ საკუთარ ხალხს უთხრას სიმართლე მიუხედავად იმისა, როგორი სიმძიმისაც არ უნდა იყოს ეს. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე.</u> გმადლობთ. მე–3 ისევ.

<u>პ.ცისკარიშვილი.</u>მოგესალმებით. დიდი მადლობა. ამ მძიმე წუთებში მართლაც მნიშვნელოვანია ყველა ის განცხადება, რაც ჩემმა კოლეგებმა გააკეთეს. მე მინდა მათ შევუერთდე იმ სამძიმარში, რომელიც აქ უკვე გამოითქვა დაღუპული ადამიანების, დაღუპული ქართველების ოჯახების

მიმართ. თითოეული მათი ტრაგედია მთლიანად საქართველოს ტრაგედიაა და ჩვენი ყველას ტრაგედია არის, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ამ მძიმე წუთებში ამ რთულ მომენტში ოპოზიცია, ჩვენი ოპონენტები ხელისუფლებასთან ერთად დგანან ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე, არიან მობილიზებული და ვაჟკაცურად გულანთებულები სწორედ იმ განცდას გამოხატავენ, რომელიც თითოეულ ქართველს შეშვენის და რომელიც მართლაც ჩვენი წინაპრების და ჩვენი ერის ხვედრია, რომ ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ მტერს, რომ ჩვენი განცდა უნდა იყოს ერთობის ბრძოლისუნარიანობის, თავდაცვისუნარიანობის და ძლიერი სახელმწიფოს ძლიერი ერის განცდა. მე აქვე მინდა ქედი მოვიხადო ჩვენი მეომრების წინაშე, ჩვენი სამთავრობო შენაერთების წინაშე, როგორც თავდაცვის სამინისტროდან, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომლებიც ბოლო 2 დღის განმავლობაში ვაჟკაცურად იბრძვიან მართლა მაღალპროფესონალურ დონეზე იბრძვიან ჩვენი ქვეყნის დასაცავად, ჩვენი სოფლებისა და ქალაქების დასაცავად და რაც მთავარია ჩვენი მშვიდობიანი მოქალაქეების მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად იმ აგრესიისგან, რომელიც რუსეთმა სეპარატისტების ხელით დაიწყო ოსეთის რეგიონში და ახლა უკვე მთლიანი თავისი შენაერთებით გაშალა მთელი საქართველოს მასშტაბით. აქვე, მე ბოლო ორი დღის განმავლობაში გახლდით გორში და შესაბამისად იმ რეგიონში, მინდა გითხრათ, რომ მართლა უსწრაფესი ტემპებით, მაღალი პროფესიონალიზმით ჩვენმა შენაერთებმა გაწმინდეს და გაასუფთავეს ყველა მიმართულება ბოევიკებისგან, სნაიპერებისგან, ათასი სჯულის მტრისგან. ყველა მიმართულებაში ვგულისხმობ როგორც ზნაურს, ასევე ცხინვალს, ასევე აღმოსავლეთის ხეობებს და რეგიონებს და ჩვენი მტერი არის მშიშარა, ისინი არიან ლაჩრები, ყველანი გაიქცნენ და ახლა დარჩნენ რუსეთის ავიაციის იმედად და რუსეთიც შესაბამისად თავისი ავიაციის იმედად, ბომბებს უშენს ჩვენს მშვიდობიან, ჩვენს სამოქალაქო ობიექტებს, მშვიდობიან მოსახლეობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი ისტორიიდან გამომდინარე, ჩვენი გამოცდილებიდან, ჩვენი წინაპრების გამოცდილებიდან გამომდინარე ქართველ ერს ისინი ვერ შეაშინებენ, ქართველ ერს, მე დარწმუნებული ვარ, ისინი ვერ გატეხავენ და მე მოგიწოდებთ ყველას, სწორედ ის განწყობა, ის განცდა რაც აი ამ გადაწყვეტილებაში, პრეზიდენტის ამ ბრძანებულებაში არის ასახული ჩვენ ყველამ გავიაზროთ, გავითავისოთ და ჩვენ ხალხთან ერთად, საზოგადოებასთან ერთად გვერდში დავუდგეთ ჩვენს მეომრებს, ვინც ვაჟკაცურად წინა ხაზზე, ფრონტის წინა რიგებში იბრძვის ჩვენი ქვეყნის დასაცავად. ღმერთი გვფარავდეს ყველას. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე</u>. დიდი მადლობა. მე–4

<u>ნ.ლალიაშვილი</u>. მე აბსოლუტურად ვიზიარებ და ვუერთდები ჩვენი კოლეგების გამოსვლებს და მათ პათოსს ზოგადად. და, კონკრეტულად მინდა გამოვეხმაურო ბატონი მალაშხიას წინადადებას, ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ბატონო დავით, თქვენ პირადად გაქვთ დიპლომატიური გამოცდილება და ჩვენი კოლეგების გარკვეულ ნაწილს მშვენივრად მოეხსენება თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მასშტაბით ოლიმპიადაზე, ოლიმპიადის ტრიბუნის გამოყენებას პოლიტიკური განცხადებებისათვის. თუ არ ვცდები სწორედ 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზე მოხდა უპრეცედენტო ფაქტი როდესაც 62 ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით არ დაესწრო ამ ოლიმპიადას იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა შეიყვანა თავისი შეიარაღებული ძალები ავღანეთში. ეს იყო უპრეცედენტო მასშტაბის ბოიკოტი და პროტესტი და ვფიქრობ, რომ იქ გარკვეული დემარშის თუ სხვა ფორმით, რომელიც შესაძლებელია კიდევ მოფიქრებულ იქნას, საქართველო ძალიან დიდ საერთაშორისო რეზონანსს გამოიწვევს, მით უმეტეს, რომ დღეს მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია სწორედ პეკინისაკენ. ისე, რომ ვუერთდებით ბატონი შოთას წინადადებას და მოვუწოდებთ ოლიმპიურ კომიტეტს მიიღოს მართლაც რეალური, ქმედითი და ძალიან პატრიოტული და ვფიქრობ, ეფექტიანი გადაწყვეტილება და ჩვენმა სპორტსმენებმა თავისი სიტყვა თქვან პეკინის ოლიმპიადაზე. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე</u>.კარგით. დიდი მადლობა. მეტი გამომსვლელები აღარ არის. კოლეგებო, კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ აქტივობისთვის. მე მინდა, უბრალოდ, ასევე გითხრათ, რომ შეიქმნა საზოგადოებრივი შტაბი სადაც ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები მთელი დღის განმავლობაში, ქართული საზოგადოების წარმომადგენლები, ცნობადი თუ უცნობი სახეები, იმყოფებიან და აფიქსირებენ თავიანთ მხარდაჭერას, აფიქსირებენ თავიანთ ერთობას, საქართველოს, ქართული საზოგადოების ერთობას იმ პროცესებში, რომელიც დღეს მიმდინარეობს. ამიტომ, შტაბი ფუნქციონირებს რუსთაველის თეატრში, ამიტომ მე მოგიწოდებთ, რომ პარლამენტის წევრებიც პერიოდულად მიბრძანდეთ და ჩვენც გამოვხატოთ ჩვენი მხარდაჭერა. ჩვენც ამ საზოგადოებისნაწილი ვართ და , მე ვფიქრობ, ჩვენც უნდა დავაფიქსიროთ, რომ ჩვენ ისევე როგორც ჩვენი დანარჩენი საზოგადოება ერთად ვდგავართ და ჩვენ პოზიციას ვაფიქსირებთ, რომ ის რაც ხდება დღეს საქართველოს წინააღმდეგ არის მიუღებელი და დაუშვებელი და მე მინდა ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო

ქართული საზოგადოების ყველა იმ წარმომადგენელს რომელმაც შექმნა ეს შტაბი და რომელიც იქ მიბრძანდება და საკუთარ პოზიციას ძალიან აქტიურად დამოხატავს.

კოლეგებო, მეტი გამომსვლელი აღარ არის. ჩვენი დღევანდელი დღის წესრიგი ამით ამოწურულია. რეგლამენტის შესაბამისად რიგგარეშე სესია გახსნილია და არსებული ვითარების პირობებში ჩვენ შეიძლება მოგვიწიოს შეკრება ნებისმიერ მომენტში. ამიტომ, დღევანდელი სხდომა დასრულებულია, მაგრამ სესია გრძელდება და ნებისმიერ დროს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება გთხოვოთ პარლამენტში მობრძნება და სხდომის ჩატარება. დიდი მადლობა.

(სხდომა დასრულებულია)